ყურადღებიანი, კეთილმოწყობილი, დაფინანსებული, ეკოლოგიური,
 პროფესიონალი, მზრუნველი, დაუსრულებელი, უყურადღებო,
 დაკავებული, მოუწყობელი, კეთილგანწყობილი,
 გარემონტებული, შეზღუდული, გაურემონტებელი

10. წერა:

შეადგინეთ მოკლე საინფორმაციო ტექსტი (50–70 სიტყვა). დაარქვით საბავშვო ბაღს სახელი და ზმნები ჩასვით მომავალ დროში. წერისას გაითვალისწინეთ შემდეგ საკითხები:

- აღსაზრდელები - როგორი ბავშვები არიან (მათი ასაკი/რაოდენობა)?
- აღმზრდელები - როგორი მასწავლებლები არიან?
- სამუშაო საათები - რომელ საათებში/დღეებში მუშაობენ?
- სასადილო/კვება - როგორი სასადილო აქვთ? როგორი კვება აქვთ?
- სპორტული დარბაზი - როგორია სპორტული დარბაზი?
- ეზო - როგორი ეზო აქვთ?
- პირობები - როგორი პირობებია ბაღში ბავშვებისთვის?

საბავშვო ბაღი

შემაჯავებელი: თაჰი I-II-III

I. მოცემული ვარიანტებიდან შეარჩიეთ შესაბამისი ვერსია და ჩასვით წინადადებაში:
ნიმუში:

1. მთავრობა ა. **შემოვლითი** გზის დაგებას წლის ბოლოს დაასრულებს.
ა. შემოვლითი ბ. ჩამოსული გ. სატვირთო
2. ფოთში თანამედროვე ტექნოლოგიებით _____ ქარხანა გაიხსნა.
ა. აქტუალური ბ. აღჭურვილი გ. შეზღუდული
3. მერიის დაფინანსებით, ბიბლიოთეკის _____ შენობას წელს შეაკეთებენ.
ა. ტრანზიტული ბ. ძველი გ. ყოფილი
4. მალე რუსთავში კიდევ ორი _____ სპორტული დარბაზი აშენდება.
ა. კეთილმოწყობილი ბ. დარწმუნებული გ. ტრანზიტული
5. კობი-გუდაურის მიმართულებით _____ ავტომობილების მოძრაობა დროებით შეჩერებულია.
ა. პირველადი ბ. სატვირთო გ. ეკოლოგიური

6. დღეს თბილისი არის ავტომობილების ქალაქი, ქუჩებში მოძრაობა _____.
- ა. გადატვირთულია ბ. გაფუჭებულია გ. დაგეგმილია
7. მინისტრის აზრით, ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსება ქვეყნისთვის _____.
- ა. დაზიანებულია ბ. გაზრდილია გ. პრიორიტეტულია
8. სკოლის დირექტორი _____, რომ სარემონტო სამუშაოები სწავლის დაწყებამდე დასრულდება.
- ა. კეთილგანწყობილია ბ. დარწმუნებულია გ. სერიოზულია
9. რეგიონიდან თბილისში _____ სტუდენტები დამოუკიდებელ ცხოვრებას სწავლობენ.
- ა. შეზღუდული ბ. არასტანდარტული გ. ჩამოსული
10. მალე ჩვენს ქალაქს _____ სტანდარტების მიხედვით კეთილმოწყობილი კიდევ ერთი საავადმყოფო შეემატება.
- ა. პროფესიონალი ბ. თანამედროვე გ. დაკავებული

II. დაასრულეთ ფრაზები ლოგიკურად, შემდეგ ჩასვით ისინი შესაბამის წინადადებებში:

ნიმუში:

1. მიწისქვეშა **გადასასვლელი**
2. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე _____
3. ცენტრალური _____
4. მძიმე _____
5. შემოვლითი _____
6. უსაფრთხო _____
7. მონაწილეობის _____
8. ეკოლოგიურად სუფთა _____
9. ავარიული _____
10. მუნიციპალური _____

ნიმუში:

1. გორელმა ახალგაზრდებმა ქალაქის ცენტრში **მიწისქვეშა გადასასვლელი** დააღაგეს და მისი კედლებიც შეღებეს.
2. დღესდღეობით ბევრი მძღოლი ცუდად ატარებს ავტომობილს, გზებზე _____
_____ რთულია.
3. თუ ქალაქში ცოტა ტრანსპორტი ივლის, ჩვენ გვექნება _____
_____.

4. მიწისძვრას თურმე _____ დაუზიანებია.
5. მომდევნო თვიდან თბილისის ქუჩებში ახალი, თანამედროვე _____ ივლის.
6. პროექტის მიხედვით, მერიამ სკოლებში _____ უნდა დაამონტაჟოს, ბავშვები გაუსაძლის პირობებში სწავლობენ.
7. მერიაში ამბობენ, რომ ახალი წლის დღეებში თბილისში _____ უფასოდ იმუშავენ, ასე რომ, მგზავრები შეძლებენ უფასო მგზავრობას.
8. მაღალმთიანი აჭარის სკოლებში ზამთარში _____, ხშირად იქ არც დენია, არც გათბობა და სკოლების შენობებიც ავარიულ მდგომარეობაშია.
9. ტენდერში _____ შეუძლიათ როგორც კომპანიებს, ასევე -კერძო პირებს.
10. მერია სამ თვეში დაასრულებს _____ დაგებას, რომელზეც მხოლოდ სატვირთო ავტომობილები იმოდრავებენ.

III. გაასწორეთ შეცდომები და ჩასვით სათანადო თანდებული:

მიერ,	მიხედვით,	შესახებ,	მიმართ(2),	გარეშე,	გამო(3)
-------	-----------	----------	------------	---------	---------

ნიმუში: სკოლაში ბევრს ლაპარაკობენ ახალი კეთილმოწყობილი სამედიცინო კაბინეტის მიხედვით.

შესახებ

1. თურმე შემოვლითი გზის დაგება ჯერ არ დაუსრულებიათ თანხების ნაკლებობის **გარეშე**

2. სპორტული შეჯიბრის **მიხედვით** საქართველოში ბევრი სტუმარი ჩამოვა.

3. გაფუჭებული გზების **მიმართ** ვერ წავედით ხევსურეთში, თუმცა ძალიან გვინდოდა.

4. გავრცელებული ინფორმაციის **გარეშე** მთავრობამ საახალწლო ღონისძიებისთვის 2 000 000 ლარი დახარჯა.

5. მუნიციპალიტეტი სკოლების შეკეთებას ვერ დაიწყებს ფინანსების ნაკლებობის **მიერ**.

6. ღონისძიება დაგეგმილია აღმზრდელის **მიხედვით**. მან ბევრი იმუშავა.

7. დღეს მოსახლეობაში ბევრს ლაპარაკობენ ახალი, თანამედროვე ინვენტარით აღჭურვილი სპორტული დარბაზის **გარეშე**.

8. სოფელ კაჭრეთში კეთილმოწყობილი საბავშვო ბაღია, აღმზრდელები ყურადღებიანები არიან, მშობლებს მათ **მიერ** დიდი ნდობა აქვთ.

9. დიდთოვლობის **მიმართ** გზებზე სატვირთო ტრანსპორტით მოძრაობა დროებით შეჩერებულია.

10. მოსახლეობის მხარდაჭერის **მიმართ** პროექტი დროულად ვერ დასრულდება.

IV. ააგეთ შესიტყვება და ჩასვით წინადადებაში. ყურადღება მიაქციეთ, რომ ხშირად საჭიროა სიტყვებისთვის ადგილის შეცვლა.

გამოიყენეთ თანდებულები: მიმართ, მიხედვით, შესახებ, გამო, გარეშე, მიერ – ისე, როგორც ეს ნიმუშია მოცემული:

ნიმუში:

პროექტი/შესახებ/პრეზენტაცია/მომზადება
გვინდა **პრეზენტაციის მომზადება პროექტის შესახებ.**

1. გზები/დაგება/მერია/მიერ
დაწყებულია _____.

2. მცირე დაფინანსება/გამო/შენობები/გარემონტება
გამგეობამ შეიძლება ვერ დაამთავროს _____.

3. შენობა კედლები/შედგება/გავრცელებული ინფორმაცია/მიხედვით
დაწყებულია _____.

4. პროექტორი/გარეშე/გაკვეთილი/ჩატარება
შესაძლებელია _____.

5. მუშები/მიერ/გათობა სისტემა/დამონტაჟება
გაგრძელებულია _____.

6. მოსახლეობა/მოთხოვნები/დაკმაყოფილება/დიდი ფინანსები/გამო
წლის ბოლომდე მთავრობა დაასრულებს _____.

7. გაუსაძლისი პირობები/ სოფლის სკოლები/შესახებ
ტელევიზიაში ბევრს ლაპარაკობენ _____.

**V. შეადგინეთ სიტყვები უ_____ელი პრეფიქს-სუფიქსის გამოყენებით და შემდეგ ჩასვით
წინადადებებში ლოგიკურად:**

ნიმუში: მოწყობილი მოუწყობელი

1. დასრულებული _____
2. მომზადებული _____
3. მოწესრიგებული _____
4. დალაგებული _____
5. დამონტაჟებული _____
6. გარემონტებული _____
7. დაცული _____
8. დარწმუნებული _____
9. გაკეთებული _____

შიდა სპორტული დარბაზი ჯერ სათანადოდ არ არის **მოწყობილი**. ბევრი რამ მოსაწყობელია.

1. შეჯიბრი ერთ კვირაშია, მაგრამ ნიკო _____ შეჯიბრისთვის.
2. საბავშვო ბაღის მშენებლობა დასრულებულია, მაგრამ ის ჯერ _____. სარემონტო სამუშაოებს მალე დაიწყებენ.
3. მიწისქვეშა გადასასვლელი უსაფრთხო და _____, იქ გავლა არ არის საშიში.
4. მინისტრი _____, რომ ახალი საბავშვო გზა ხელს შეუწყობს ტურიზმის განვითარებას.
5. ბებიას _____ ნამცხვარი ყველაზე გემრიელია.
6. პერიაში ამბობენ, რომ წლის ბოლომდე _____ არაფერი დარჩება. ყველაფერს სათანადოდ გააკეთებენ.
7. სამედიცინო კაბინეტში თანამედროვე ინვენტარი ჯერ არ არის _____, მალე დაამონტაჟებენ.
8. დედა გაბრაზებულია, იმიტომ რომ ეკას ოთახი _____, ის არასდროს ალაგებს მას დროულად.
9. სადამოსკონცერტია, მეკი _____ ვარ, თუმცა ჯერ კიდევ არის დრო მოსაწესრიგებლად.

VI. ჩასვით მოცემული სიტყვები საჭირო ადგილას, ზმნები გადაიყვანეთ მომავალ დროში. ყურადღება მიაქციეთ, რომ ზოგჯერ სიტყვის ფორმის შეცვლაა საჭირო:

გზაჯვარედინი, საზაფხურო, პანდუსი, მაგისტრალი, მძიმე პირობები,
არასტანდარტული, კარ-ფანჯარა, საძირკველი, ფართი, მოსახლეობა

ნიმუში:

თბილისის მერია კიდევ ერთ ახალ, თანამედროვე სტანდარტის შესაბამისი **საზაფხურო გზას ააშენებს** (აშენებს), რომელიც ჭავჭავაძის გამზირს კუს ტბასთან დააკავშირებს.

1. კერძო ბიზნეს კომპანია საოფისე _____ მშენებლობას მალე _____ (ასრულებს).
2. მიწისძვრა ძველი, ავარიული შენობების _____ (აზიანებს).
3. გორის ცენტრში ახალი _____ (კეთდება), რომელზეც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებიც შეძლებენ გადასვლას.
4. ტრანსკავკასიური _____ მშენებლობა ხუთ წელში _____ (სრულდება).
5. ახალი სპორტული დარბაზი _____ ფორმისაა, თუმცა ის ყველას მოსწონს და იქ მალე სპორტულ შეჯიბრებს _____ (ატარებენ).
6. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის ქალაქში _____ (აკეთებენ).
7. ადგილობრივი მთავრობა პირველ რიგში იმ ადამიანების მოთხოვნებს _____ (აკმაყოფილებს), რომლებიც _____ ცხოვრობენ.
8. სკოლებში მეტალოპლასტმასის _____ უახლოეს დღეებში _____ (ამონტაჟებენ).
9. სოფლის _____ დარწმუნებულია, რომ ადგილობრივი მთავრობა მათ მოთხოვნებს _____ (აკმაყოფილებს).

VII. შეავსეთ ცხრილი ნიმუშის მიხედვით, შემდეგ კი ჩასვით ზმნები წინადადებებში:

ნიმუში:

დღეს	ხვალ/ალბათ	შეიძლება/უნდა	ჯერ არ/თურმე
ასრულებენ	დაასრულებენ	დაასრულონ	დაუსრულებიათ
	ჩაატარებენ		
		დავიწყით	

			დაუგიათ
	შეაკეთებენ		
არემონტებს			
		დაამონტაჟონ	
			დაუფინანსებია
	დააკმაყოფილებს		
ანგრევს			
		დახარჯოს	
			უმუშავია
	ააშენებს		

ნიმუში:

მომავალ კვირას ახლად გარემონტებულ სპორტულ დარბაზში მოსწავლეები შეჯიბრს **ჩაატარებენ**.

1. თურმე გამგეობას სოფლის ყველა სკოლაში ახალი გათბობის სისტემა _____.
2. ამ წლის ბიუჯეტის მიხედვით, მთავრობამ ავარიული სკოლის შენობები უნდა _____.
3. ახალი სამედიცინო კაბინეტი თანამედროვე სტანდარტებს სრულიად _____.
4. მთავრობამ ინფრასტრუქტურის პროექტებზე მეტი თანხები უნდა _____.
5. ჩვენი ახალი მენეჯერი პროფესიონალია, თურმე მას ბევრ მასშტაბურ პროექტზე _____.
6. მიწისქვეშა გადასასვლელები მოუწესრიგებელია, მათზე ზრუნვა დღესვე უნდა _____.
7. ყოფილი სპორტული დარბაზის შენობა მერიამ შეიძლება _____ და მის ადგილზე ახალი შენობა _____.
8. დირექტორი დარწმუნებულია, რომ მუშები დაწყებულ მშენებლობას მალე _____.
9. გამგეობას თურმე შემოვლითი გზების დაგება ამ წლის ბიუჯეტის მიხედვით არ _____, იმედია, მომავალ წელს _____.

VIII. დაასრულეთ წინადადებები, ჩასვით გმნები საჭირო ფორმაში:

ნიმუში:

თურმე მერიას უკმაყოფილო მოსახლეობის მოთხოვნები **ჯერ არ დაუკმაყოფილებია**. (აკმაყოფილებს)

1. მუშები უნივერსიტეტის ფასადს **ალბათ** დღის ბოლომდე _____. (ღებავენ)
2. გამგეობაში ამბობენ, რომ ძველი ავარიული ბიბლიოთეკა **უნდა** _____ (ანგრევენ) და ახალი კეთილმოწყობილი შენობა _____ (აშენებენ).

3. მთავრობის დაფინანსებით განათლების სამინისტრომ ქალაქის სკოლები **შეიძლება** სპორტული მოედნებით _____. (აკმაყოფილებს)
4. ნინოს **უნდა**, რომ მისი შვილები _____ (არიან) ჯანმრთელები, ამიტომ გადაწყვიტა, ისინი ცურვაზე _____. (ატარებს)
5. მშობლებმაც და აღმზრდელებმაც ბავშვებზე **უნდა** _____. (ზრუნავენ)
6. კონცერტი ხვალისთვის არის დაგეგმილი, თუმცა დარბაზი **ჯერ არ** _____. (აწესრიგებენ)
7. უკვე ერთი თვე გავიდა, მაგრამ სარემონტო სამუშაოები **ჯერ არ** _____. (იწყებენ)
8. ღონისძიებაში **ალბათ** შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებიც _____ მონაწილეობას. (იღებენ)
9. ნიკო ბევრ ფულს ხარჯავს, ასე არ შეიძლება, მან ნაკლები **უნდა** _____ (ხარჯავს) და თანხა _____ (ზოგავს) უნივერსიტეტისთვის.
10. ჩვენს ახალ, კეთილმოწყობილ ინგლისური ენის კაბინეტში მალე **ალბათ** პროექტორს _____ (ამონტაჟებენ)
11. აქ ადრე გამგეობის შენობა იყო, მაგრამ დღეს აღარ არის, **თურმე** _____. (ანგრევენ)
12. სანამ პროექტს დაიწყებენ, ის ჯერ კარგად **უნდა** _____. (გეგმავენ)
13. ელისო პროფესიონალი მხატვარია, მისი გამოფენა **შეიძლება** გამგეობამ _____. (აფინანსებს)
14. სოფლის საბავშვო ბაღში მშვენიერი პირობებია, **მაგრამ** საკრებულომ შეიძლება ბაღის შენობა მაინც _____ (არემონტებს) და ის თანამედროვე ტექნიკით _____ (აღჭურავს).

IX. ჩასვით ზმნები საჭირო ფორმაში და გადაიყვანეთ წინადადებები შესაბამის დროში:

გამოიყენეთ: თურმე, ჯერ არ, ალბათ, შეიძლება, უნდა – ისე, როგორც ნიმუშშია მითითებული:

ნიმუში: მთავრობა გზების მშენებლობას აფინანსებს.

თურმე: თურმე მთავრობას გზების მშენებლობა დაუფინანსებია.

უნდა: მთავრობამ გზების მშენებლობა უნდა დააფინანსოს.

ალბათ: მთავრობა ალბათ დააფინანსებს გზების მშენებლობას.

1. მერია ავარიულ შენობებს არემონტებს.

ჯერ არ: _____.

შეიძლება: _____.

ალბათ: _____.

2. პროექტის ფარგლებში მიწისზედა და მიწისქვეშა გადასასვლელებს აკეთებენ.

თურმე: _____.

უნდა: _____.

ალბათ: _____.

3. გარემონტებულ საკლასო ოთახებში კომპიუტერებს დგამენ და პროექტორებს ამონტაჟებენ.

ჯერ არ: _____.

შეიძლება: _____.

ალბათ: _____.

4. საქველმოქმედო ღონისძიებისთვის დარბაზს აწყობენ.

თურმე: _____.

უნდა: _____.

ალბათ: _____.

5. იმერეთის ყველა სკოლაში სამედიცინო კაბინეტებს ხსნიან.

თურმე: _____.

შეიძლება: _____.

ალბათ: _____.

6. თბილისის ქუჩებში ახალი, თანამედროვე და თან ეკოლოგიურად სუფთა მუნიციპალური ტრანსპორტი დადის.

ჯერ არ: _____.

შეიძლება: _____.

ალბათ: _____.

X. წაიკითხეთ ტექსტი. იპოვეთ ხუთი მცდარი წინადადება (მიაქციეთ ყურადღება, რომ ერთი უკვე აღნიშნულია):

სოფელ ქისტაურის ახალგაზრდებმა პროექტი დაწერეს, რომელიც ადგილობრივმა მთავრობამ დააფინანსა. ამ პროექტის მიხედვით, სულ მალე სოფლის ყოფილი ბაღის შენობას გაარემონტებენ, შეაკეთებენ და იქ იქნება ახალგაზრდული ცენტრი.

ეს ინიციატივა გამგეობაში მოიწონეს და როგორც იქ ამბობენ, შენობის სარემონტო სამუშაოებს მალე დაიწყებენ. შეაკეთებენ ძველ კედლებს, შემდეგ შეღებავენ და მოაწესრიგებენ. ასევე, გაარემონტებენ სპორტულ დარბაზს. ის იქნება კეთილმოწყობილი და დააკმაყოფილებს თანამედროვე სტანდარტებს. გააკეთებენ როგორც გარე, ასევე შიდა მოედანს, იქ ბავშვები ითამაშებენ და სპორტულ ღონისძიებებს ჩაატარებენ.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ მშენებლობაში მოსახლეობაც მიიღებს მონაწილეობას, ასე ნაკლებ თანხას დახარჯავენ და მეტ ფულს დაზოგავენ. ახალგაზრდებმა შეიძლება მოაწყონ საქველმოქმედო ღონისძიებები

და მშენებლობისთვის კიდევ უფრო მეტი თანხა შეაგროვონ.

კიდევ ერთი სიახლე ის იქნება, რომ ახალგაზრდულ ცენტრს ექნება თანამედროვე ბიბლიოთეკა, რომელიც აღჭურვილი იქნება წიგნებით, კომპიუტერებითა და პროექტორით.

ცენტრს ასევე ექნება დიდი დარბაზი მნიშვნელოვანი ღონისძიებებისთვის, აქ ახალგაზრდები დაგეგმავენ და ჩაატარებენ არა მარტო პრეზენტაციებსა და საქმიან შეხვედრებს, არამედ კონცერტებსა და სხვა გასართობ ღონისძიებებს. აგრეთვე მოაწყობენ გამოფენებს. შენობას აუცილებლად ექნება პანდუსები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის.

სოფელში ყველა დარწმუნებულია, რომ ახალი ცენტრი დააკმაყოფილებს ახალგაზრდების ინტერესებსა და მოთხოვნებს.

ნიმუში: ახალგაზრდული ცენტრის პროექტი სოფლის ახალგაზრდებმა დააფინანსეს.

მცდარი

- სპორტულ დარბაზს არ გაარემონტებენ, იმიტომ რომ ის უკვე კეთილმოწყობილია.
- ახალგაზრდები და გამგეობა სოფლის ყოფილი ბაღის შენობას გაარემონტებენ.
- ცენტრს ექნება როგორც შიდა, ასევე გარე სპორტული მოედანი.
- მოსახლეობა მშენებლობაში მონაწილეობას არ მიიღებს.
- ახალგაზრდებმა შეიძლება საქველმოქმედო ღონისძიებები მოაწყონ.
- ბიბლიოთეკა იქნება ძველი, მაგრამ წიგნებით აღჭურვილი.
- შენობას პანდუსები ექნება.
- ახალგაზრდულ ცენტრს ღონისძიებებისთვის დარბაზი არ ექნება.

IV თაჰი

4.1 გარემო და ჯანმრთელობა

1. დაასათაურეთ სურათები და შეადგინეთ წინადადებები:


საწვავი, ხელშეკრულება, ძრავა, ხელმოწერა, კვამლი, გარემო



1. _____

2. _____

3. _____



4. _____

5. _____

6. _____

ნიმუში:

საწვავის ფასი დღეს ძალიან გაძვირებულია, თუმცა იმედია მალე დაიკლებს.

1. _____.

2. _____.

3. _____.

4. _____.

5. _____.

2. ჩასვით მოცემული სიტყვები სათანადო ადგილას, ზოგჯერ საჭიროა სიტყვის ფორმის შეცვლა:

ნიმუში: ამ დოკუმენტს სჭირდება დირექტორის ხელმოწერა.

ადაპტირებული,	ეკონომიური,	ხელშეკრულება,	ხელმოწერა,	გარემო,
მუნიციპალური,	დაბინძურებული,	უსიამოვნო,	საწვავი,	
მოხერხებული,	გამართული			

1. მიწისქვეშა გადასასვლელი კარგად არის _____ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის.
2. ახალგაზრდა თაობა უფრო მეტად ბრუნავს ჯანმრთელობასა და _____.
3. გადატვირთული მოძრაობისა და გამონაბოლქვის გამო დიდ ქალაქებში ჰაერი _____.
4. ტრანსპორტის გამონაბოლქვს აქვს _____ სუნი და თან ჯანმრთელობისთვის მავნეა.
5. თბილისში ახალი _____ ტრანსპორტი შემოვიდა. ეს არის ლურჯი ფერის ავტობუსები.
6. თურმე მერიას სამწლიანი _____ გაუფორმებია სატრანსპორტო კომპანიასთან.
7. ბაზარზე _____ ფასი სწრაფად იზრდება.
8. მზისენერგიის გამოყენება არამარტო ჯანმრთელობისთვის არის კარგი, არამედ უფრო _____.
9. თბილისში შიდა გადაადგილებისთვის გამოყოფილი ტრანსპორტი იაფია და თან მგზავრობისთვის საკმაოდ _____.
10. მგზავრობის წინ მძღოლები უნდა დარწმუნდნენ, რომ ტრანსპორტი უსაფრთხოა და მგზავრობისთვის _____.

3. შეავსეთ ცხრილი, ჩასვით გზნები სწორ ფორმაში ნიმუშის მიხედვით და შეადგინეთ წინადადებები:

დღეს	ხვალ	შეიძლება	ჯერ არ/თურმე
ვრცელდება	გავრცელდება	გავრცელდეს	გავრცელდება
		დაზიანდეს	
	დასრულდება		
გადაადგილდება			
			დაბინძურდება
	დაკმაყოფილდება		
		გაიმართოს	

			გარემონტებულა
ფინანსდება			
		აღინიშნოს	
რწმუნდება			

ნიმუში: შეიძლება: მომდევნო წელს სოფელ ქისტაურში შეიძლება ახალი სკოლა აშენდეს.

1. დღეს: _____.
2. ჯერ არ: _____.
3. შეიძლება: _____.
4. ხვალ: _____.
5. თურმე: _____.
6. ზეგ: _____.
7. შეიძლება: _____.
8. ჯერ არ: _____.
9. მაზგ: _____.
10. უნდა: _____.

4. გადაიყვანეთ წინადადებები მოქმედებითი გვარიდან ვნებითში, გამოიყენეთ „გან“ „მიერ“

ნიმუში: ძლიერი ქარი სადენებს აზიანებს.

სადენები **ზიანდება** ძლიერი ქარისგან.

1. გამგეობა მნიშვნელოვან ინფორმაციას **ავრცელებს**.
მნიშვნელოვანი ინფორმაცია _____.
2. მანქანების გამონაბოლქვი ჯანმრთელობას **აზიანებს**.
ჯანმრთელობა _____.
3. თურმე მერიას მოსახლეობის მოთხოვნები **დაუკმაყოფილებია**.
მოსახლეობის მოთხოვნები _____.
4. საგზაო პროექტს მუშები მომდევნო წელს **დაასრულებენ**.
საგზაო პროექტი _____.
5. მუნიციპალიტეტმა ბოლო ხუთი წლის მანძილზე 100-ზე მეტი დაზიანებული შენობა **გაარემონტა**.
100-ზე მეტი დაზიანებული შენობა _____.
6. მერიამ უნდა **ააშენოს** ახალი სკოლები, ბაღები და ბიბლიოთეკები.
ახალი სკოლები, ბაღები და ბიბლიოთეკები _____.

7. მერია ვარდების მოედანზე საახალწლო ღონისძიებას **გამართავს**.

საახალწლო ღონისძიება _____.

8. ინფრასტრუქტურის სამინისტრომ შეიძლება დამატებითი თანხები **გამოყოს** ავარიული შენობების შესაკეთებლად.

ავარიული შენობების შესაკეთებლად _____.

5. დააკავშირეთ ზმნები შესაბამის სიტყვებთან და ააგეთ წინადადებები:

ნიმუში: 3 – ე

- | | |
|-----------------|------------------------------|
| 1. დაბინძურდა | ა. მოსახლეობის მოთხოვნები |
| 2. დაზიანდა | ბ. მნიშვნელოვანი ინფორმაცია |
| 3. აშენდა | გ. გარემო გამონაბოლქვით |
| 4. გავრცელდა | დ. შენობები |
| 5. დასრულდა | ე. ბევრი ახალი შენობა |
| 6. დაკმაყოფილდა | ვ. სამწლიანი პროექტი |
| 7. დაფინანსდა | ზ. საზემო შეხვედრა |
| 8. გაიმართა | თ. 1 000 000 ლარით |

ნიმუში:

ა. გასულ წელს მთავრობის დაფინანსებით საქართველოს რეგიონებში **ბევრი ახალი შენობა აშენდა**.

ბ. _____.

გ. _____.

დ. _____.

ე. _____.

ვ. _____.

ზ. _____.

თ. _____.

6. დაასრულეთ წინადადებები, ჩასვით მოცემული ზმნები პასიურ ფორმაში, სადაც საჭიროა, შეცვალეთ დროც. ასევე, გამოიყენეთ შემდეგი სიტყვები:

თურმე,	შეიძლება,	ჯერ არ,	აქამდე არ,	არასდროს,	ალბათ
--------	-----------	---------	------------	-----------	-------

ნიმუში: თურმე ტელევიზიით სკანდალური ვიდეო ჩანაწერი გავრცელებულა (ავრცელებს).

1. უახლოეს მომავალში საოფისე ტიპის შენობები _____ ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე _____ (ათავსებს).
2. ჯერ ზუსტად არ ვიცით, მაგრამ ყოფილი სპორტკომპლექსის დაზიანებული შენობა _____ მომდევნო წელს _____ (არემონტებს).
3. ქვემო ქართლში მოსახლეობის უკმაყოფილება დღითიდღე იზრდება, იმიტომ რომ მათი მოთხოვნები _____ (აკმაყოფილებს).
4. მრავალსართულიანი სასტუმროების კომპლექსი შენდება ქალაქ თელავში. ამდენი შენობა ერთად თელავში ადრე _____ (აშენებს).
5. მოსახლეობას ორი დღეა არ აქვს სასმელი წყალი. _____ წყლის მილები _____ (აზიანებს).
6. თბილისში ახალი, ეკოლოგიურად სუფთა ტრანსპორტი შემოვიდა, თუმცა ყველაუბანშიც _____ (გადაადგილებს).
7. ჯერ დაზუსტებული არ არის, მაგრამ ახალი საგზაო პროექტის პრეზენტაცია _____ სასტუმრო „ჭუალინგში“ _____ (მართავს).
8. არჩევნების გამო თბილისობა წელს _____ შედარებით ადრე, ოქტომბრის შუა რიცხვებში _____ (აღნიშნავს).

7. შეაერთეთ წინადადებები ლოგიკურად:

ნიმუში: 1 – ბ

1. სტუდენტები უახლოეს მომავალში განახორციელებენ იმ პროექტს,
 2. გუდაურში ელექტროენერგიის სადენები დაზიანდა
 3. ხალხის მიერ გავრცელებული ინფორმაცია
 4. მერიის მიერ დაფინანსებული პროექტი ჯერ არ დასრულებულა,
 5. ქალაქში მალე ეკოლოგიურად სუფთა ტრანსპორტი ივლის,
 6. თუ არ ვიზრუნებთ ჩვენს ჯანმრთელობაზე,
 7. ყოველწლიურად მთავრობის მიერ გზების შესაკეთებლად
 8. ასეთი გრანდიოზული გალაკონცერტი
- ა. რადგან თანხები არ იყო საკმარისი.
 ბ. რომელიც მერიამ დააფინანსა.
 გ. რაც დაბინძურების ხარისხს შეამცირებს.
 დ. დიდთოვლობის გამო.

- ე. აქამდე არასდროს გამართულა.
- ვ. ყოველთვის არ არის მართალი.
- ზ. ის დაზიანდება.
- თ. მილიონობით ლარი გამოიყოფა.

8. დააკავშირეთ სიტყვები ერთმანეთთან, შემდეგ ჩასვით ისინი წინადადებებში ლოგიკურად (ყურადღება მიაქციეთ, რომ ზოგჯერ სიტყვის ფორმის შეცვლა აუცილებელია):

ნიმუში: 2 – თ

- | | |
|----------------------|---------------------|
| 1. საერთაშორისო | ა. ხელმოწერა |
| 2. ჯანსაღი | ბ. დაბინძურება |
| 3. დირექტორის | გ. ხელშეკრულება |
| 4. გავრცელებული | დ. ტრანსპორტი |
| 5. ეკოლოგიურად | ე. გარემო |
| 6. ეკოლოგიურად სუფთა | ვ. ინფორმაცია |
| 7. მუნიციპალური | ზ. სუფთა ტრანსპორტი |
| 8. გარემოს | თ. გარემო |

1. ყოველმა თაობამ უნდა იზრუნოს იმაზე, რომ მათ მომდევნო თაობებს ჰქონდეთ **ჯანსაღი გარემო** და საკვები.
2. ჩვენი ჯანმრთელობისთვის აუცილებელია გვექონდეს _____.
3. პრემიერმინისტრმა უცხოელ ინვესტორებთან შეხვედრაზე ხელი მოაწერა _____.
4. ტელევიზიით _____ ჩვენი ავტობუსები მალე დააკმაყოფილებენ ევროპულ სტანდარტებს.
5. ბევრ ქალაქსა თუ სოფელში ძველ ავტობუსებს ახალი _____ შეცვლის.
6. მანქანების გამონაბოლქვი _____ ერთ-ერთი მთავარი მიზეზია.
7. ხელშეკრულება მზადაა, საჭიროა მხოლოდ _____.
8. _____ დაიცავს გარემოს ზედმეტი გამონაბოლქვისგან.

9. საუბარი:**პასუხი გაცემით შეკითხვებს და იმსჯელეთ:**

1. თქვენი აზრით, რა მიზეზების გამო ზიანდება გარემო?
2. როგორ ფიქრობთ, როცა მოსახლეობას აქვს პრობლემა, ვის უნდა მიმართოს მის მოსაგვარებლად?
3. როგორ ფიქრობთ, რა შეიძლება იყოს მოსახლეობაში არასწორი ინფორმაციის გავრცელების მიზეზი?
4. თქვენი აზრით, უნდა აშენდეს თუ არა ახალი შენობები თბილისში? თუ დიახ, რატომ? თუ არა, რატომ არა?

10. წერა:**აღწერეთ ტრანსპორტის სისტემა თქვენს ქალაქში/რაიონში:****აღწერისას ისაუბრეთ შემდეგ საკითხებზე:**

- ტრანსპორტის სახეობა
- რამდენად კარგად მოძრაობს ტრანსპორტი
- ფასი/ეკონომიურობა
- საწვავი
- ვის შეუძლია მგზავრობა
- დაბინძურება/გამონაბოლქვი

ტრანსპორტის სისტემა ჩემს ქალაქში

4.2 საავადმყოფოს ინფრასტრუქტურა

1. დაასრულეთ წინადადებები, ჩასვით მოცემული ფრაზები:

ნიმუში: ხაშურის ახლად გახსნილი სამედიცინო კლინიკა აღჭურვილია თანამედროვე სამედიცინო აპარატურით.

გადაუდებელი სამედიცინო დახმარება
სახლის გარშემო
სპორტულ-გამაჯანსაღებელი ცენტრი
ხელმისაწვდომი ფასები
სამედიცინო კლინიკა
საოპერაციო ბლოკი
გამორჩეული ექიმები
განხორციელებული პროექტი
სხვადასხვა გამოკვლევა
კვალიფიცირებული პერსონალი

1. თბილისის კლინიკებში _____ მუშაობენ. ისინი პროფესიონალები არიან.
2. დილით მძიმე პაციენტი მოიყვანეს და პირდაპირ _____ შეიყვანეს გადაუდებელი სამედიცინო დახმარებისთვის.
3. სასტუმრო „ოაზისს“ აქვს _____, შიდა და გარე საცურაო აუზი, საუნა და სპორტული დარბაზი.
4. ჩვენი სასტუმრო ახალია, კეთილმოწყობილი და, რაც ყველაზე მთავარია, ჩვენთან _____ მუშაობენ.

5. დოლიძეებს დიდი სახლი აქვთ მანგლისში, _____ კი ულამაზესი ეზოა.
6. თენგოს მშენებლობაზე ფეხი დაუზიანდა და მას _____ ჩაუტარდა.
7. სტუდენტური ორგანიზაციის მიერ _____ წლის საუკეთესო პროექტად დასახელდა.
8. გუშინ ბებო სამედიცინო კლინიკაში წავიყვანეთ სადაც _____ ჩაუტარდა.

2. დააკავშირეთ სიტყვები მათ მნიშვნელობებთან, შემდეგ რამდენიმე მათგანი გამოიყენეთ წინადადებებში:

ნიმუში: 4 – დ

- | | |
|--------------------|--|
| 1. კლინიკა | ა. ოთახი, სადაც ტარდება ოპერაცია |
| 2. გამოკვლევა | ბ. მდგომარეობის შესწავლა |
| 3. პალატა | გ. იგივეა, რაც საავადმყოფო |
| 4. ოპერაცია | დ. ქირურგიული მოქმედება ორგანოზე |
| 5. საოპერაციო | ე. სპეციალური დანიშნულების განყოფილება საავადმყოფოში |
| 6. კომპლექსი | ვ. ადგილი, სადაც ხდება პაციენტების მიღება |
| 7. ბლოკი | ზ. საავადმყოფოს ოთახი, სადაც ავადმყოფებს მკურნალობენ |
| 8. რეგისტრატურა | თ. შენობები, რომლებსაც საერთო დანიშნულება აქვთ |

1. **საოპერაციო ბლოკში** გუშინ ღამით მძიმე პაციენტი შეიყვანეს ოპერაციისთვის.

2. _____.
3. _____.
4. _____.
5. _____.
6. _____.

3. დააკავშირეთ ანტონიმები და დაასრულეთ წინადადებები ლოგიკურად მოცემული სიტყვების გამოყენებით:

ნიმუში: 4 – ა

- | | |
|------------------|---------------|
| 1. ხელმისაწვდომი | ა. გეგმიური |
| 2. აქტუალური | ბ. უყურადღებო |

- | | |
|------------------|------------------|
| 3. ყურადღებიანი | გ. ძვირი |
| 4. გადაუდებელი | დ. გაუმართლებელი |
| 5. გამორჩეული | ე. უმნიშვნელო |
| 6. გარემონტებული | ვ. ჩვეულებრივი |

4. ზემოთ მოცემული ანტონიმები ჩასვით საჭირო ადგილას წინადადებებში:

ზესტაფონის სპორტულ-გამაჯანსაღებელი ცენტრი ახალი გახსნილია. ამბობენ, ფასები 1. _____, ამიტომ ყველას შეუძლია მივიდეს და დაისვენოსო. ცენტრს აქვს შიდა აუზი, რომელიც ახალი 2. _____ უახლეს დონეზე. ცენტრს ჰყავს 3. _____ ინსტრუქტორები, რომლებიც ზრუნავენ კლიენტებზე. ისინი თავიანთი საქმის 4. _____ პროფესიონალები არიან. ზესტაფონში ყველა ახალ ცენტრზე ლაპარაკობს, ეს დღეს 5. _____ თემაა. ცენტრში მისვლა და განტვირთვა 6. _____ აქტივობაა ახალგაზრდებისთვის.

5. წაიკითხეთ ტექსტი და დაასათაურეთ აბზაცები, ერთი სათაური არის ზედმეტი:

- ა. საავადმყოფოს ფასები და დასაქმებული სპეციალისტები
- ბ. სპორტულ-გამაჯანსაღებელი ცენტრი
- გ. სარემონტო სამუშაოები
- დ. მერიის მიერ დაფინანსებული პროექტი
- ე. მოსახლეობის უკმაყოფილება

1. _____

თელავის ცენტრალური საავადმყოფოს შენობა საკმაოდ ძველია. დაზიანებულია საძირკველი, კარ-ფანჯარას სჭირდება შეკეთება. შენობის კედლებს აქვს ბზარები. პაციენტები და ექიმები ხშირად გამოთქვამენ უკმაყოფილებას, ამიტომ მერიამ დააფინანსა საავადმყოფოს რემონტის პროექტი, რომელიც მალე დაიწყება.

2. _____

თელავის მერის თქმით, რემონტს მომავალ კვირას დაიწყებენ. საავადმყოფო გარემონტდება თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად. კედლები შეიღებება, საოპერაციო განახლება, პალატები კეთილმოეწყობა, კაბინეტში დამონტაჟდება თანამედროვე სამედიცინო აპარატურა.

3. _____

საინტერესო სიახლეა ის, რომ ასევე გარემონტდება საავადმყოფოს სპორტულ-გამაჯანსაღებელი ცენტრი. თურმე ცენტრი დიდი ხნის განმავლობაში მუშაობდა, რადგან ბოლო ხუთი წელია პაციენტებს ვეღარ ემსახურება, შენობა ავარიულ მდგომარეობაშია. ცენტრში განთავსდება აუზი, საშხაპე, მასაჟის კაბინეტი.

4. _____

ყველაზე საინტერესო კი ის არის, რომ საავადმყოფოში ფასები იქნება ყველასთვის ხელმისაწვდომი, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. გარდა ამისა, აქ იმუშავებენ გამორჩეული ექიმები. მერიას იმედი აქვს, რომ ახლად გარემონტებული საავადმყოფო ბევრი პაციენტის მოლოდინს გაამართლებს.

6. ტექსტის მიხედვით დაადგინეთ, მოცემული წინადადებები სწორია თუ არასწორი:

ნიმუში:

პროექტი დაფინანსებულია ქალაქის საკრებულოს მიერ. **არასწორი**

1. თელავში ახალი საავადმყოფო აშენდება.
2. სპორტულ-გამაჯანსაღებელი ცენტრი ხუთი წელია მუშაობს.
3. ცენტრში განთავსდება აუზი, საშხაპე, მასაჟის კაბინეტი.
4. საავადმყოფოში მაღალი ფასები იქნება.
5. საავადმყოფოში იმუშავებენ უცხოელი ექიმები.

7. დაასრულეთ წინადადებები, ჩასვით მოცემული სიტყვები სათანადო ადგილას:

არაფერი,	ნურაფერი,	თან... თან.... ,	ვერაფერი,	გარშემო,	ირგვლივ
----------	-----------	------------------	-----------	----------	---------

ნიმუში: გუშინ მერიაში ვიყავი ჩვენი კორპუსის სადარბაზოს რემონტთან დაკავშირებით, მაგრამ _
ვერაფერი_ გავარკვიე.

1. უნივერსიტეტის სტუდენტები ჩვენს კლინიკაში _____ სწავლობენ და _____ პრაქტიკულ გამოცდილებას იღებენ.
2. გუშინ ძალიან მძიმე პაციენტი შემოიყვანეს კლინიკაში, თუმცა, სამწუხაროდ, ექიმებმა _____ უშველეს.
3. _____ შეგაშინებს! პაციენტის მდგომარეობა სტაბილურია და ის მალე გამოჯანმრთელდება!
4. რუსთავი არ არის ლამაზი ქალაქი, ის ვაკე ადგილზეა აშენებული, _____ მხოლოდ კორპუსებია.
5. მიუხედავად იმისა რომ ოპერაცია 12 საათს გაგრძელდა, პაციენტი უკვე უკეთესადაა, სანერვიულო _____.
6. სასტუმროების კომპლექსის მშენებლობა აქტუალური თემაა. მის _____ დღეს ბევრს საუბრობენ.

8. შეავსეთ ცხრილი, ჩასვით ზმნები სწორ ფორმაში ნიმუშის მიხედვით და შეადგინეთ წინადადებები. წინადადებებში გამოიყენეთ მითითებული სიტყვები:

დღესდღეობით	ხვალ	შეიძლება	ჯერ არ/თურმე
საქმდება	დასაქმდება	დასაქმდეს	დასაქმებულა
		ჩატარდეს	
	დაიგეგმება		
უტარდებათ			
			განთავსებულა
		გაიხსნას	
	გაკეთდება		
		განხორციელდეს	

1. აქამდე არ: სპორტული კომპლექსის შენობა უკვე მზადაა, **თუმცა აქამდე არ გახსნილა.**
2. ხვალ: _____.
3. ჯერ არ: _____.
4. თურმე: _____.
5. შეიძლება: _____.
6. დღესდღეობით: _____.

9. მოცემული ვარიანტებიდან შეარჩიეთ სწორი ზმნა და გაუსვით ხაზი:

ნიმუში: 1 – ა. დასაქმდება

1. გორის ახლად გახსნილ სამედიცინო კლინიკაში 200 ახალი თანამშრომელი _ა. დასაქმდება_.
ა. დასაქმდება ბ. განთავსდება გ. აშენდება
2. გადაუდებელი ოპერაცია _____ იმ შემთხვევაში, თუ მშობლები დათანხმდებიან.
 ა. დასაქმდება ბ. ჩატარდება გ. გარემონტდება
3. სპორტული კომპლექსის მშენებლობის გეგმა მზადაა, თუმცა მისი განხილვა ჯერ არ _____.
 ა. განთავსებულა ბ. აშენებულა გ. დაწყებულა

4. სკოლის ირგვლივ _____ სპორტული მოედნები, საცურაო აუზი და პარკი.
 ა. განთავსდება ბ. გავრცელდება გ. დაზიანდება
5. შეჯიბრი უკვე ორი საათის დაწყებულია და, სავარაუდოდ, მალე _____.
 ა. დაიგეგმება ბ. დასრულდება გ. დაკმაყოფილდება
6. უახლოეს მომავალში უზარმაზარი სავაჭრო ცენტრი _____ ქალაქის გარეუბანში.
 ა. ჩაუტარდება ბ. გადაადგილდება გ. აშენდება
7. სამცხე-ჯავახეთში მომავალ წელს მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტები _____.
 ა. განთავსდება ბ. განხორციელდება გ. დაზიანდება
8. ავარიული შენობების რემონტისთვის მერიის ფონდიდან 1 000 000 ლარი
 ა. გავრცელდება ბ. დასრულდება გ. გამოიყოფა

10. ა) შეადგინეთ ტექსტი მოცემული სიტყვების გამოყენებით:

განთავსდება, ხელმისაწვდომი, გადაუდებელი, საოპერაციო, პალატა,
 გამოკვლევები, აშენდება, გარემონტდება, დაკმაყოფილდება

ბ) უპასუხეთ შეკითხვებს და იმსჯელეთ მოცემულ საკითხებზე:

1. არის თუ არა თქვენს ქალაქში/რაიონში სპორტულ-გამაჯანსაღებელი ცენტრი? თუ კი, რამდენად ხშირად დადიხართ იქ? რას აკეთებთ იქ?
2. როგორი უნდა იყოს თანამედროვე კლინიკა და რა მომსახურებას უნდა სთავაზობდეს ხალხს?
3. კმაყოფილი ხართ თუ არა სამედიცინო მომსახურებით თქვენს ქალაქში/რაიონში? თუ კი, რა მოგწონთ? თუ არა, როგორ მომსახურებას ისურვებდით?
4. რა არის დღეს თქვენს ქალაქში/რაიონში აქტუალური პრობლემა სამედიცინო მომსახურებაში?

4.3 სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსი**1. შეარჩიეთ ორი სწორი პასუხი მოცემული ზმნისთვის და გაუსვით ხაზი:****ნიმუში: ა. ღონისძიებები ბ. კონცერტები****1. საახალწლოდ ქალაქში იმართება**

ა. ღონისძიებები ბ. კონცერტები გ. პრობლემები

2. გამაჯანსაღებელ კომპლექსში განთავსდება

ა. ტრენაჟორები ბ. სავარჯიშო სავარძლები გ. სათამაშოები

3. ინტერნეტის მეშვეობით ვრცელდება

ა. დაავადებები ბ. ინფორმაცია გ. ახალი ამბები

4. მიწისძვრის შედეგად დაზიანდა

ა. ხიდები ბ. შენობები გ. ხელშეკრულება

5. წლის ბოლოსთვის გარემონტდება

ა. პალატები ბ. ხელმოწერა გ. ავარიული შენობები

6. ხელშეკრულების შედეგად მოგვარდება

ა. პრობლემები ბ. აქტუალური საკითხები გ. კონცერტები

7. ოთხი თვის ვადაში განხორციელდება

ა. პროექტი ბ. სამოქმედო გეგმა გ. პრობლემა

8. დაზიანებული შენობების რეაბილიტაციისთვის გამოიყოფა

ა. ხარისხი ბ. თანხები გ. ფინანსები

2. მოცემული სიტყვები ჩასვით სათანადო ადგილას:

კომპლექსი,	მომხმარებელი,	მომსახურება,	ჯანსაღი,	ხარისხი,
მოგვარებული,	განთავსებული,	გადაუდებელი,	გამართული	

ნიმუში: მერიის შენობა ძველ რუსთავეშია განთავსებული.

1. რესტორანი „თბილისი“ მაღალი დონის _____ სთავაზობს მომხმარებლებს.
2. რუსთავეში იგეგმება თანამედროვე სპორტული ინვენტარით აღჭურვილი სპორტული _____ მშენებლობა.
3. ოჯახში ბევრი მნიშვნელოვანი პრობლემაა, თუმცა მთავარი საკითხი უკვე _____.
4. ექიმი ახლა დაკავებულია, ის საოპერაციოშია, ნახევარი საათის წინ პაციენტი შემოიყვანეს, რომელსაც _____ ოპერაცია დასჭირდა.
5. ლილოს ბაზრობაზე ახალი დახლები და მაღაზიები გახსნეს. ბაზრობას ბევრი _____ ჰყავს, რადგან აქ ფასია ხელმისაწვდომი ყველასთვის.
6. მაღაზიებში ნაყიდი სურსათის _____ მაღალია, თუმცა ზოგჯერ უხარისხო პროდუქტსაც შეხვდებით.
7. აუცილებლად უნდა იზრუნო გარემოზე, რომ _____ და ბედნიერი მომავალი გქონდეს.
8. გუშინ ფილარმონიაში _____ კონცერტზე ბევრი ხალხი მოვიდა.

3. აირჩიეთ მოცემული ვერსიებიდან სწორი ვარიანტი და შემოხაზეთ:

ნიმუში: გლდანის ახლად გახსნილ საცურაო აუზზე ფასები გადაუდებელია/ხელმისაწვდომია

1. შენობაში წყლის მილები დაზიანდა, თუმცა დღეს ეს პრობლემა უკვე მოწყობილია/მოგვარებულია.
2. „მწვანე სალონი“ მაღალი ხარისხის მომსახურებაა, კლიენტები ყოველთვის კმაყოფილები/მზრუნველები არიან.
3. ქალაქის დაბინძურება გამონაბოლქვით დღეს ყველაზე კეთილმოწყობილი/აქტუალური პრობლემაა.
4. შენობები, ტრანსპორტი და გადაადგილების სხვა საშუალებები ადაპტირებული/ყურადღებიანი უნდა იყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის.
5. რუსთავე-თბილისის მიკროავტობუსით მგზავრობა საკმაოდ კომფორტული, სწრაფი და, ამასთან ერთად, ეკონომიურია/მუნიციპალურია.

6. საქართველოს ბევრ ქალაქში დღემდე ძველი და ავარიული მუნიციპალური/მზრუნველი ტრანსპორტი მუშაობს.
7. ტელეფონში ინტერნეტი მაქვს, ეს საქმიანი ადამიანისთვის ძალიან გამაჯანსაღებელია/მოსახერხებელია.
8. სწორი კვება და დილით ვარჯიში გამართულია/გამაჯანსაღებელია.

4. მოცემულ ზმნებს შეუსაბამეთ ორი სავარაუდო პასუხი და გაუსვით ხაზი, შემდეგ შეადგინეთ წინადადებები:

- ნიმუში:** აშენდება ა. ხელმოწერა
 ბ. ხარისხიანი შენობები
 გ. სასტუმროები

მომავალ წელს **სასტუმროები აშენდება** ბათუმსა და ქობულეთში.

- | | |
|----------------|--|
| 1. გაიმართება | ა. შეხვედრა
ბ. ღონისძიება
გ. პრობლემა |
| 2. დაიგეგმება | ა. გაკვეთილი
ბ. კლინიკა
გ. პროექტი |
| 3. განთავსდება | ა. პალატები
ბ. თანამედროვე აპარატურა
გ. გამოკვლევა |
| 4. მოგვარდება | ა. პრობლემა
ბ. ხელშეკრულება
გ. საკითხი |

1. _____.
2. _____.
3. _____.
4. _____.

5. შინაარსის მიხედვით დააკავშირეთ სიტყვები ერთმანეთთან და შემდეგ მათი გამოყენებით შეადგინეთ წინადადებები (დააწყვილეთ დადებითი და უარყოფითი მნიშვნელობის სიტყვები):

ნიმუში: 1 – დ

- | | |
|------------------|--------------------|
| 1. გაკეთებული | ა. მოსაგვარებელი |
| 2. დამთავრებული | ბ. გამაჯანსაღებელი |
| 3. გარემონტებული | გ. მოსაწესრიგებელი |
| 4. მოგვარებული | დ. გასაკეთებელი |
| 5. მოხერხებული | ე. დასამთავრებელი |
| 6. აშენებული | ვ. გასარემონტებელი |
| 7. ჯანსაღი | ზ. ასაშენებელი |
| 8. მოწესრიგებული | თ. მოსახერხებელი |

1. სპორტულ კომპლექსში რემონტი ჯერ არ არის **გაკეთებული**, ბევრი რამ ჯერ კიდევ **გასაკეთებელია**.

2. _____.
3. _____.
4. _____.
5. _____.
6. _____.
7. _____.
8. _____.

6. დაასრულეთ საპრეზენტაციო ტექსტი შემდეგი ფრაზების გამოყენებით:

მოგესალმებით	დაბოლოს
ამრიგად	გარდა ამისა
გვინდა აღვნიშნოთ	ჩვენი მიზანია
მართლაც	აქ შეხვდებით
გისურვებთ წარმატებებს	

ნიმუში:

ძვირფასო სტუმრებო, 1. **მოგესალმებით**, დიდი მადლობა მობრძანებისთვის. დღევანდელი 2. _____ შეხვედრის _____, გაგაცნოთ ჩვენი ახალი გამაჯანსაღებელი ცენტრი. 3. _____, რომ ცენტრი აღჭურვილია უახლესი აპარატურით, სატრენაჟორო დარბაზებით, აქვე განთავსებულია საცურაო აუზი და ფიტნეს ცენტრი. ცენტრი 4. _____, რომ საუკეთესოა. 5. _____, ყოველ კვირა ჩვენს ცენტრში იგეგმება და ტარდება ღონისძიებები, მაგალითად გამაჯანსაღებელი გაკვეთილები, შეხვედრები მოწვეულ სტუმრებთან, კონსულტაციები უცხოელ სპეციალისტებთან. 5. _____, გვსურს მოგიწვიოთ ჩვენთან. 6. _____ გამორჩეულ ინსტრუქტორებს, რომლებიც დაგეხმარებიან თქვენთვის სასურველი პროცედურების ჩატარებაში. 7. _____, კიდევ ერთხელ დიდი მადლობა მობრძანებისთვის. 8. _____.

7. ჩასვით მოცემული ფრაზები წინადადებებში, გამოიყენეთ „თან... თან“

სწავლობენ/მუშაობენ
ვგეგმავთ/ვატარებთ
შენდება/რემონტდება
ზრუნავს/ასწავლის
აგროვებს/ზოგავს
მოაწყობენ/მოაწესრიგებენ

ნიმუში:

ჩვენს გამაჯანსაღებელ ცენტრში ბევრი სტუდენტია, ისინი **თან სწავლობენ და თან მუშაობენ**.

1. ჩვენს გამაჯანსაღებელ სპორტულ კომპლექსში ღონისძიებებს _____, _____.
2. ვანიკო სამოგზაუროდ ემზადება, ის ფულს _____ და _____ მოგზაურობისთვის.
3. მერიაში ამბობენ, რომ ახალგაზრდული ოლიმპიადისთვის ფეხბურთის სტადიონს _____, _____.
4. ვანო ბაბუა ყურადღებიანია, ის თავის შვილიშვილზე _____, ბევრ საინტერესო რამეს _____.
5. ახალი სასტუმროს მშენებლობის პროექტი მალე უნდა დასრულდეს, ამიტომ სასტუმრო _____, _____.

8. დაასრულეთ წინადადებები ნიმუშის მიხედვით:**ნიმუში:**

ოლიმპიური თამაშები მომდევნო წელს საქართველოში (იმართება).

შეიძლება: ოლიმპიური თამაშები მომდევნო წელს შეიძლება საქართველოში გაიმართოს.**ალბათ:** ოლიმპიური თამაშები მომდევნო წელს, ალბათ, საქართველოში გაიმართება.

1. სტადიონის მიმდებარე ტერიტორიაზე გამაჯანსაღებელი ცენტრი (თავსდება).

შეიძლება: _____.**ალბათ:** _____.

2. სპორტის დეპარტამენტის დაფინანსებით კახეთის რეგიონში რამდენიმე სპორტული კომპლექსი (შენდება).

შეიძლება: _____.**ალბათ:** _____.

3. ჩვენს კლინიკაში პროფესიონალი სპეციალისტების დასაქმებით ხარისხის პრობლემა (გვარდება).

შეიძლება: _____.**ალბათ:** _____.

4. ახლად გახსნილ სპორტულ კომპლექსში დიდი სპორტული ღონისძიება (იმართება).

შეიძლება: _____.**ალბათ:** _____.

5. წლების შემდეგ მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში საქართველოში (ტარდება).

შეიძლება: _____.**ალბათ:** _____.

6. ყოფილი სპორტკომპლექსის შენობა „მწვანე პროექტის“ ფარგლებში (რემონტდება).

შეიძლება: _____.**ალბათ:** _____.

7. კომპლექსის სარეაბილიტაციო სამუშაოები სამოქმედო გეგმის მიხედვით ვერ (ხორციელდება).

შეიძლება: _____.**ალბათ:** _____.

8. ფესტივალი „არტ გენი“ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში (იმართება).

შეიძლება: _____.**ალბათ:** _____.



9. ა. მოისმინეთ ტექსტი და აღნიშნეთ, ჩამოთვლილი საკითხები, რომლებზეც საუბრობენ:

- მონაწილე სპორტსმენების რაოდენობა
- ოლიმპიადისთვის მზადება
- მოსახლეობის დამოკიდებულება
- სპორტული კომპლექსი
- საცურაო აუზი
- ფეხბურთის სტადიონი

ბ. მოისმინეთ ტექსტი კიდევ ერთხელ და შეავსეთ გამოთვებული ადგილები:

წელს საქართველოში პირველად 1. _____ ახალგაზრდული ოლიმპიური თამაშები. ივლისის ბოლოსთვის თბილისში ევროპის 49 ქვეყნის 14-დან 18-წლამდე 3 800 2. _____ ჩამოვა. ისინი ერთმანეთს სპორტის ცხრასახეობაში 3. _____. საქართველოდან ქართველის სპორტსმენები აქტიურად ემზადებიან 4. _____. მათ დიდი იმედი აქვთ, რომ ამ თამაშებში გაიმარჯვებენ. ოლიმპიური თამაშებისთვის მზადება უკვე 5. _____ დაწყებულია. სპორტის დეპარტამენტის უფროსის თქმით, ახალი სპორტული კომპლექსის 6. _____ 5 ივლისს 7. _____. მისი მშენებლობისთვის სამ მილიონ ლარზე მეტი გამოიყო. კომპლექსი აღჭურვილი იქნება 8. _____ ინვენტარით. კომპლექსის ტერიტორიაზე 9. _____ საცურაო აუზი, სარბენი ბილიკები და ასევე ხელბურთის სტადიონი. უკვე დასრულებულია საცურაო აუზის მშენებლობა, რომელსაც აქვს ინდივიდუალური საშხაპე კაბინები, 10. _____ და გამოსაცვლელი ოთახები.

10. წერა.

დაწერეთ პრეზენტაციის ტექსტი. წარმოიდგინეთ, რომ ხართ დიდი კომპანიის მენეჯერი და იწყებთ ახალ პროექტს. წარადგინეთ თქვენი პროექტი პრეზენტაციის ფორმით. შეიტანეთ შემდეგი საკითხები:

- მისაღმება – მიესალმეთ აუდიტორიას
- მიზნები – რა არის შეხვედრის მიზანი?
- საჭიროება – რატომ დაიგეგმა ეს პროექტი?
- პრობლემა – რომელი პრობლემები მოგვარდება პროექტის ფარგლებში?

- აღწერა - პროექტის მოკლე აღწერა - დაწყება/დამთავრება/ფინანსები
- ძლიერი მხარეები - ერთი ან ორი ძლიერი მხარე
- სუსტი მხარეები - ერთი ან ორი სუსტი მხარე
- სამომავლო გეგმები - რა აქტივობები იგეგმება პროექტის მიხედვით?
- დამშვიდობება - დაემშვიდობეთ აუდიტორიას

[illegible]

V თავი

5.1 წყლის რესურსები

1. დააკავშირეთ სიტყვები განმარტებებთან, შემდეგ მათი გამოყენებით შეადგინეთ წინადადებები:

ნიმუში: 1 – ბ

1. მოქალაქე

2. მოხმარება

3. სასმელი წყალი

4. მოსახლეობა

5. წყალმომარაგება

6. ნაგებობა

7. წყალდიდობა

ა. წყლის მიწოდება

ბ. სახელმწიფოს სრულუფლებიანი წევრი

გ. ადამიანები, რომლებიც ცხოვრობენ გარკვეულ ტერიტორიაზე

დ. წყალი, რომლის დაღვევაც შეიძლება

ე. რაიმეს გამოყენება, რაიმეთი სარგებლობა

ვ. ყველაფერი ის, რაც აგებულია, შენობა

ზ. დიდთოვლობის ან დიდი წვიმების დროს მდინარეების აღიდება

1. მოქალაქეები უნდა ზრუნავდნენ გარემოზე.

2. _____.

3. _____.

4. _____.

5. _____.

6. _____.

2. შეავსეთ ცხრილი, ჩასვით ზმნები სწორი ფორმით ნიმუშის მიხედვით და შეადგინეთ წინადადებები (ყურადღება მიაქციეთ გამოყენებულ პასიურ და აქტიურ ფორმებს):

დღეს	ხვალ	შეიძლება	ჯერ არ/თურმე
მიეწოდება	მიეწოდება	მიეწოდოს	მიწოდებია
	შემოწმდება		

		შეწყდეს	
			მომარაგებულა
		გაკონტროლდეს	
	მომარაგებენ		
			შეუმოწმებიათ
გაკონტროლებთ			
		მივაწოდოთ	
შეწყვიტეს			

ნიმუში: ხვალ: კომპანიის თქმით, **ხვალიდან** სასმელი წყალი სოფელ ნინოწმინდას შეფერხების გარეშე მიეწოდება.

1. დღესდღეობით: _____.
2. ჯერ არ: _____.
3. შეიძლება: _____.
4. ხვალ: _____.
5. თურმე: _____.
6. შეიძლება: _____.
7. დღესდღეობით: _____.
8. ჯერ არ: _____.
9. თურმე: _____.
10. ხვალ: _____.

3. დაასრულეთ წინადადებები, აირჩიეთ მოცემული ზმნებიდან სწორი ფორმა (აქტიური ან პასიური):

ნიმუში: სარემონტო სამუშაოების გამო, ლექციები უნივერსიტეტის მეორე კორპუსში **ტარდება/ატარებს**.

1. კახეთში 100-ზე მეტი სათევზაო მეურნეობა ამარაგებს/მარაგდება წყლით.
2. მოსახლეობას აინტერესებს, ვინ და როგორ აკონტროლებს/კონტროლდება სასმელი წყლის ხარისხს.
3. მერიაპირობას იძლევა, რომ ბაზარზე შემოსულ პროდუქციას მუდმივად გააკონტროლდება/გააკონტროლებს.
4. დიდთოვლობის გამო გზებზე სარემონტო სამუშაოები ატარებს/ტარდება.
5. თბილისის საბავშვო ბაღებს ტენდერში გამარჯვებული კომპანია მომარაგდება/მომარაგებს.
6. დიდ ქალაქებში მანქანების გამონაბოლქვი, სამწუხაროდ, არ აკონტროლებს/კონტროლდება.

7. მიცვევირის ქუჩის მცხოვრებლების თქმით, მათ კორპუსებში წყალი ხშირად ხორციელდება/წყდება.
8. სუპერმარკეტები ყოველთვის ჯანსაღი პროდუქტით არ მოწმდება/არ მარაგდება, რაც დღესდღეობით აქტუალური პრობლემაა.

4. გადაიყვანეთ წინადადებები აქტიურიდან პასიურში. გამოიყენეთ „-გან“ და „მიერ“ თანდებულები:

ნიმუში: კერძო კომპანია საავადმყოფოებს სასმელი წყლით ამარაგებს.

საავადმყოფოები სასმელი წყლით მარაგდება კერძო კომპანიის მიერ.

1. საბავშვო ბაღების პროდუქტის ხარისხს ლაბორატორიაში ამოწმებენ.

საბავშვო ბაღის _____.

2. ტენდერში გამარჯვებული კომპანია უნივერსიტეტს ინგლისური ენის წიგნებით ამარაგებს.

უნივერსიტეტი _____.

3. ტელევიზია ყოველ საათში უახლეს ინფორმაციას აწვდის მაყურებლებს.

მაყურებლებს _____.

4. შენობების ხარისხს სამინისტროს სპეციალური განყოფილება აკონტროლებს.

შენობების ხარისხი _____.

5. უსაფრთხოების წესების დაცვის მიზნით, მერია წყლის ხარისხის შესამოწმებლად დამატებით გამოკვლევებს ატარებს.

დამატებითი გამოკვლევები _____.

6. მიწისძვრით დაზარალებული მოქალაქეებისთვის მერია ბევრ რამეს აკეთებს.

მიწისძვრით დაზარალებული მოქალაქეებისთვის _____.

7. „ევროპროდუქტის“ სადისტრიბუციო ქსელი საქართველოს ყველა რეგიონს ამარაგებს.

საქართველოს ყველა რეგიონი _____.

8. ადგილობრივი მთავრობა წყლის პრობლემას ჯერჯერობით ვერ წყვეტს.

წყლის პრობლემა ჯერჯერობით _____.

5. დააკავშირეთ სიტყვები ერთმანეთთან, შემდეგ ჩასვით ისინი წინადადებებში ლოგიკურად (ყურადღება მიაქციეთ, რომ ზოგჯერ საჭიროა სიტყვის ფორმის შეცვლა):

ნიმუში: 6 – თ

1. დეტალური	ა. კონტროლი
2. საგანგებო	ბ. წესების დაცვა
3. გზის	გ. ინფორმაცია
4. ხარისხის	დ. განცხადება
5. უსაფრთხოების	ე. მიწოდება
6. სარემონტო	ვ. აღდგენა
7. მკაცრი	ზ. ზომების მიღება
8. სასმელი წყლის	თ. სამუშაოები

ფალიაშვილის ქუჩაზე ილიას უნივერსიტეტის უკანა კორპუსში გარე 1. სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობს. კორპუსი გზის პირასაა, ამიტომ ადმინისტრაცია უსაფრთხოებასთან დაკავშირებით 2. _____ ავრცელებს. უნივერსიტეტის ადმინისტრაცია თვლის, რომ საჭიროა 3. _____, რადგან სტუდენტები და მოქალაქეები მოძრაობენ კედლებთან ახლოს. გარდა ამისა, დაზიანებულია გზის გარკვეული მონაკვეთი, ამიტომ უნივერსიტეტი აპირებს 4. _____. სამუშაოს შესრულების ხარისხის 5. _____ აუცილებელია. ამის შესახებ ხარისხის სამსახური 6. _____ უნივერსიტეტის ადმინისტრაციას უახლოეს დღეებში მიაწოდებს.

6. დაასრულეთ წინადადებები, ჩასვით მოცემული ფრაზები. (ყურადღება მიაქციეთ, რომ ზოგჯერ საჭიროა სიტყვის ფორმის შეცვლა):

ნიმუში: ჩვენი საკვები პროდუქტის ხარისხის შესახებ დეტალური ინფორმაციის მიღება შესაძლებელია კომპანიის ვებგვერდზე.

უსაფრთხოების წესების დაცვა
დეტალური ინფორმაციის გავრცელება
~~დეტალური ინფორმაციის მიღება~~
სარემონტო სამუშაოები
გზის დაზიანებული მონაკვეთი
ავარიული მდგომარეობა
სამუშაო ჯგუფები
სასმელი წყლის მიწოდება
მკაცრი ზომები

1. ცენტრალური გზის პირას მიმდინარე სარემონტო სამუშაოების გამო, საჭიროა _____.
2. მიწისძვრის შედეგად ძველ თბილისში ბევრი სახლი დაზიანდა, ისინი _____.
3. გამგეობამ დიდთოვლობის გამო დამატებითი _____ გაგზავნა თუშეთში.
4. თურმე იზოდრომთან ძველი საცხოვრებელი კორპუსის _____ მიმდინარეობს.
5. დიდთოვლობის გამო, გუდაური-კობის _____ აღდგენა დღემდე მიმდინარეობს.
6. თბილისის მერიას ახალწლო ღონისძიებების ჩატარების გრაფიკთან დაკავშირებით _____.
7. უახლესი ინფორმაციით, სალამოს ქალაქის ზოგიერთ უბანში _____ სამი საათით შეწყდება.
8. ამბობენ, რომ უსაფრთხოების წესების დარღვევისთვის _____ გატარდება.

7. შეასწორეთ შეცდომები, ყურადღება მიაქციეთ ზმნის აქტიურ და პასიურ ფორმებს:

ნიმუში: განათლების სამინისტრო ავრცელებს ინფორმაციას, რომ ხვალიდან საქართველოს ყველა სკოლაში სწავლა სამი დღით **შეწყვეტს. შეწყდება.**

1. ქალაქი თბილისი მდინარე არაგვის წყლით ამარაგებს. _____.
2. გავრცელებული ინფორმაციით, სასმელი წყალი არ აწოდებს გორის მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს. _____.
3. ბავშვთა კვების პროდუქტებისა და საბავშვო სათამაშოების უსაფრთხოებას საქართველოში ყოველთვის ამოწმებენ. _____.
4. ხარისხის სამსახური პროდუქციის უსაფრთხოებას კონტროლდება. _____.
5. ხარისხის სამსახურის ინფორმაციით, რუსთავის სასმელი წყალი სანიტარულ-ჰიგიენურ ნორმებს კმაყოფილდება. _____.
6. სამინისტროს ინფორმაციით, კასპში 120 მილიონი ლარის ინვესტიცია განახორციელებს. _____.

8. კითხვა:**ა. წაიკითხეთ ტექსტი და დაადგინეთ:**

რა არის გორის მოსახლეობის უკმაყოფილების მიზეზი? როგორია წყალმომარაგების კომპანიის პასუხი?

გორის მოსახლეობა ადგილობრივი ხელისუფლების მუშაობით უკმაყოფილოა. ქალაქში სასმელი წყლის მიწოდება ხშირად წყდება. მაგალითად, დღესდღეობით სამ ქუჩაზე არ მოდის წყალი. ეს დღეს გორში აქტუალური პრობლემაა.

მოქალაქეები ამბობენ, რომ მომდევნო კვირას გამგეობის წინ საპროტესტო აქციას გამართავენ. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ადგილობრივი მთავრობის მხრიდან მათი მოთხოვნები არ შესრულდება, საპროტესტო აქციები თბილისში გაგრძელდება.

წყალმომარაგების კომპანიის მენეჯერის თქმით, აღნიშნულ ქუჩებს წყალი გრაფიკით მიეწოდება. გორში წყლის მიმწოდებელი სისტემა ყველა ქუჩაზე გამოცვლილი და შეკეთებულია. კომპანიაში ამბობენ, რომ მოსახლეობა წყალს არაეკონომიურად მოიხმარს. სწორედ ამის გამო იქმნება პრობლემა. ეს ქუჩები მთიან ადგილებში მდებარეობს და დაბალი წნევის გამო, მათი 24 საათიანი წყალმომარაგება ვერ ხერხდება.

რაც შეეხება არაეკონომიურ მოხმარებას, ხალხი არ უფრთხილდება წყალს. როცა წყალი წყდება, ისინი ონკანს არ კეტავენ, ამის შედეგად მილებში ჰაერი გროვდება და სანამ ონკანი ჰაერისგან არ დაიცლება, წყალი არ მოდის, ამ დროს კი მრიცხველი მაინც მუშაობს.

წყალმომარაგების კომპანია მოქალაქეებს ჰპირდება, რომ უახლოეს მომავალში თანამედროვე აღჭურვილობის დამონტაჟების შემდეგ გორს სასმელი წყალი 24 საათიანი გრაფიკით ექნება.

9. წაიკითხეთ ტექსტი კიდევ ერთხელ და დაადგინეთ, მოცემული წინადადებები სწორი თუ არასწორია:

1. გორის მოსახლეობა კმაყოფილია ადგილობრივი მთავრობის მუშაობით.
2. გორის მოსახლეობა აცხადებს, რომ თუ პრობლემა არ მოგვარდება, მათი საპროტესტო აქციები თბილისში გაგრძელდება.
3. გორის სამ ქუჩას სასმელი წყალი 24 საათიანი გრაფიკით მიეწოდება.
4. წყალმომარაგების კომპანიის მენეჯერის თქმით, გორში პრობლემის წარმოქმნის ერთ-ერთი მიზეზი ისაა, რომ მოსახლეობა წყალს არაეკონომიურად მოიხმარს.
5. გორის სამ ქუჩას წყალი იმიტომ ვერ მიეწოდება, რომ მოსახლეობას არ აქვს მრიცხველი.
6. როცა წყალი არ მოდის და ონკანი არ არის დაკეტილი, მასში ჰაერი გროვდება. ამ დროს კი მრიცხველი მაინც მუშაობს.

10. საუბარი:

პასუხი გაცით კითხვებს და იმჯელეთ:

1. როგორი გრაფიკით მიეწოდება წყალი თქვენს ქალაქს/რეგიონს? თუ არის წყლის პრობლემები? რა სახის პრობლემებია?
2. თქვენი აზრით, უნდა გაკონტროლდეს სასმელი წყლის ხარისხი? რატომ?
3. ფიქრობთ, რომ პროდუქციის ხარისხი მნიშვნელოვანია? რისი ხარისხი უნდა გაკონტროლდეს?
4. დაასახელეთ მაგალითები, თუ როდის არის საჭირო, რომ დავიცვათ უსაფრთხოების წესები

5.2 საქართველოს წყალსაცავები და ჰესები

1. დაასათაურეთ სურათები და შეადგინეთ წინადადებები:

ჰესი,	წყალსაცავი,	ჰიდროტექნიკური ნაგებობა,	წყლის ნაკადი,
	წყლის მოცულობა,	არხი	



1. _____

2. _____

3. _____



4. _____

5. _____

6. _____

ნიმუში:

ჰესი არის ელექტროსადგური, რომელიც ენერგიის მისაღებად იყენებს წყლის ნაკადს.

1. _____.
2. _____.
3. _____.
4. _____.
5. _____.

2. დააკავშირეთ სიტყვები მნიშვნელობებთან:

ნიმუში: 1 – გ. ნაგებობა, რომელიც გზას უღობავს წყალს, ამაღლებს მდინარეში წყლის დონეს ან აგროვებს წყლის დიდ მარაგს.

1. კაშხალი
2. მეურნეობა
3. არხი
4. წყალსაცავი
5. ნაგებობა
6. ირიგაცია
7. მიმდებარე
8. ნაკადი

ა. მიწების მორწყვა ხელოვნურად გაყვანილი არხებით

ბ. ჰიდროტექნიკური ნაგებობა წყლის შესაკავებლად, დასაგროვებლად.

გ. ნაგებობა, რომელიც გზას უღობავს წყალს, ამაღლებს მდინარეში წყლის დონეს ან აგროვებს წყლის დიდ მარაგს.

დ. წყლის სავალი, საგანგებო თხრილი

ე. წარმოება, ეკონომიკა

ვ. ახლომახლო, იქვე არსებული

ზ. სწრაფად მიმდინარე წყალი

თ. ყველაფერი ის, რაც აგებულია

3. დაასრულეთ წინადადებები ლოგიკურად, შესთავაზეთ იდეა, ჩასვით მოცემული სიტყვები შემდეგ კონსტრუქციაში, „მოდი“ + II კავშირებითი:

წავიდეთ,	დავწეროთ,	შევამოწმოთ,	მივაწოდოთ,
წარმოვადგინოთ,	გამოვიყენოთ,	გავაკონტროლოთ	

ნიმუში: დღეს ახალი კომედია გადის კინო „რუსთაველში“.

რა კარგია, **მოდი, წავიდეთ!**

1. ამბობენ, თურმე სამინისტრო მცირე მასშტაბისა და ბიუჯეტის პროექტებს დააფინანსებს.
შესანიშნავი ინიციატივაა, მოდი ერთი პროექტი ჩვენც _____!
2. ტელევიზიით გამოაცხადეს, დღეს წყალი არ იქნებაო. ჩვენთან არ არის, თქვენთან?
უი, მართლა?! არ ვიცი. მოდი, _____!
3. ჩვენი პროექტის „უსაფრთხო გარემო“ პრეზენტაცია სად გავაკეთოთ? რამე ახალი მირჩიე, გთხოვ.
-იდეა მაქვს, მოდი, პრეზენტაცია სასტუმრო „რედისონში“ _____!
4. ტრენინგის დაწყებამდე ორი კვირა დარჩა, არადა ჩვენ ჯერ კიდევ დასაგეგმი გვაქვს გაკვეთილები.
მართალი ხარ, უმნიშვნელო დეტალებზე დროს ნუ დავხარჯავთ, მოდი დარჩენილი ორი კვირა ეფექტურად _____!
5. დღეს ხარისხის კონტროლის სამსახურიდან დარეკეს. ინფორმაცია სჭირდებათ თბილისში სასმელი წყლის ხარისხზე.
კი, ვიცი, ამიტომ კვლევის შედეგები მოამზადე, მოდი, ეს დოკუმენტები დღესვე _____!
6. ნიკო გვიანობამდე კომპიუტერთან ზის და თამაშობს. მირჩიე რამე, გთხოვ!
სათანადო ზომები უნდა მივიღოთ, მოდი, ყოველ საღამოს მკაცრად _____!

4. შეარჩიეთ სწორი სიტყვა და გაუსვით ხაზი:

ნიმუში: თანამშრომლებმა წლის ბოლოს უნდა წარმოადგინონ მიმდებარე/დეტალური ანგარიში.

1. წყალსაცავების წყალს ძირითადად საირიგაციოდ/დეტალურად იყენებენ.
2. ჩემი ოთახის მცენარეები თითქმის გახმა, მათთვის ახლა არავის სცალია, სასწრაფოდ მოსარწყავია/სამეურნეოა.
3. სამგორის ველი შესანიშნავი ადგილია სამეურნეო/აბსოლუტური ცხოვრებისთვის.

4. ლისის ტბის სასმელი/მიმდებარე ტერიტორიაზე იყიდება მიწის ნაკვეთი.
5. სასმელი წყლის ხარისხი დეტალურად/აბსოლუტურად აკმაყოფილებს ხარისხის მოთხოვნებს.
6. თელავის მოსახლეობას საირიგაციო/სასმელი წყალი გრაფიკით მიეწოდება.
7. ენგურჭესის უცნაური/უზარმაზარი კაშხალი ორმოც წელზე მეტია, სრული დატვირთვით მუშაობს.
8. ზუგდიდში ააშენეს უცნაური/სამეურნეო ფორმის სკოლა, რომელიც ყველას მოსწონს.

5. მოცემული სიტყვებიდან შეარჩიეთ სწორი ვარიანტი და გაუსვით ხაზი:

ნიმუში: 1 – ა. შეუწყდება

1. სარემონტო სამუშაოების გამო, ხვალ საღამოს საათებში რუსთავის მოსახლეობას წყალმომარაგება _
ა. შეუწყდება_.
- ა. შეუწყდება ბ. უწყდება გ. შეწყვეტია
2. ფინანსური პრობლემების გამო, ენგურჭესზე სარემონტო სამუშაოები ჯერ არ _____.
- ა. განხორციელებულა ბ. განხორციელდა გ. განხორციელდეს
3. ევროპის ბევრ ქვეყანაში მზის და ქარის ენერგიას ეფექტურად _____.
- ა. გამოიყენეს ბ. გამოუყენებიათ გ. იყენებენ
4. 2008 წლის ომმა ბიზნეს სექტორი დააზარალა საქართველოში, თუმცა რამდენიმე წელში ის კვლავ _____.
- ა. აღორძინებულა ბ. აღორძინდა გ. აღორძინდეს
5. რესტორანი „ძველი სახლი“ კვირას უცხოელი სტუმრების ასაკაციან ჯგუფს _____.
- ა. მოემსახურება ბ. მომსახურებია გ. მოემსახუროს
6. ნიკო ნერვიულობს, რადგან ხვალ ყველა თანამშრომლის წინაშე უნდა _____ პრეზენტაცია.
- ა. წარადგენს ბ. წარადგინა გ. წარადგინოს

6. შეადგინეთ ტექსტი მოცემული სიტყვების გამოყენებით:

წარმოიდგინეთ, რომ თქვენს უბანში შეიქმნა სასმელი წყლის პრობლემა: რა სახის პრობლემაა? რა არის მიზეზი? რა შეიძლება გაკეთდეს მის მოსაგვარებლად?

შეუწყდა, წარმოადგენს, ემსახურება, ვიყენებთ, თურმე არ მიეწოდება,
 არ კონტროლდება, თურმე ჩატარებულა, სარემონტო სამუშაოები,
 სასმელი წყალი, დეტალური ინფორმაცია, მიმდებარე ტერიტორია

7. ხაზგასმული სიტყვები წინადადებებში არის არასწორად გამოყენებული. წაიკითხეთ და შეასწორეთ, გადაანაცვლეთ ლოგიკურად:

ნიმუში:

1. მნიშვნელოვანი ნაბიჯი დირექტორის მხრიდან ჯერ არ აღორძინებულა. გადადგმულა.
2. სოფლის მოსახლეობის სასმელი წყლით მომარაგების პროექტი მომდევნო წელს მიეწოდება.
3. სამწუხაროდ, სამინისტროს პროექტის მიმდინარეობის შესახებ დეტალური ანგარიში დროულად არ განხორციელდება.
4. დღეს სადამოს ელექტროენერგიის მიწოდება მოსახლეობას დროებით გაკონტროლდება.
5. იანვრიდან ილიას უნივერსიტეტში უსაფრთხოების წესების დაცვა მკაცრად შეუწყდება.
6. თურმე სამეგრელოში რძის პროდუქტების წარმოება წელს მნიშვნელოვნად გადადგმულა.

8. დააკავშირეთ სინონიმური წყვილები, შემდეგ მათი გამოყენებით შეადგინეთ წინადადებები:

ნიმუში: 1 – დ.

- | | |
|-------------------|-------------------|
| 1. დახმარება | ა. მოსარწყავი |
| 2. უზარმაზარი | ბ. გამოყენება |
| 3. მთლიანად | გ. ანკარა |
| 4. წყალმომარაგება | დ. ხელშეწყობა |
| 5. მოხმარება | ე. წყლის მიწოდება |
| 6. ღონისძიებები | ვ. უდიდესი |
| 7. საირიგაციო | ზ. ზომები |
| 8. სუფთა | თ. აბსოლუტურად |

1. სოფლის მეურნეობას მთავრობის მხრიდან **დახმარება (ხელშეწყობა)** სჭირდება.

2. _____.
3. _____.
4. _____.
5. _____.
6. _____.
7. _____.
8. _____.



9. ა. მოუსმინეთ ტექსტს. მოკლედ აღწერეთ, რა არის საუბრის მთავარი თემა? გამოყავით ერთი ან ორი მნიშვნელოვანი საკითხი:

ბ. კიდევ ერთხელ მოუსმინეთ ტექსტს. დაადგინეთ, წინადადებები სწორია თუ არასწორი:

1. წვეთოვანი სარწყავი სისტემა ზოგადად ჰიდრო რესურსს და სასუქს და ხელს უწყობს მცენარის ზრდას.
2. თანამედროვე სარწყავი სისტემის განვითარება დაიწყო კოლორადოში.
3. წვეთოვანი სარწყავი სისტემის მეშვეობით მცენარეს მიეწოდება ჟანგბადი.
4. წვეთოვანი სარწყავი სისტემის მეშვეობით მცენარეს წყალი და სასუქი არაკონტროლირებადი ფორმით მიეწოდება.

5. არათანაბარი და დამრეცი მიწის ნაკვეთების მოსარწყავად წვეთოვანი ირიგაცია არ არის რეკომენდებული.
6. მცენარეს შეუძლია განვითარება ჟანგბადისა და აირის მოძრაობის გარეშე.
7. ბაღებში, ნაკვეთებსა და სათბურებში წვეთოვანი სისტემა კარგად მუშაობს.
8. მცენარეებისთვის, რომლებიც ფესვს ღრმად ივითარებენ, არ არის რეკომენდებული წვეთოვანი ირიგაცია.

10. წერა:

გაიხსენეთ რომელიმე ცნობილი მდინარე, ტბა, წყალსაცავი და დაწერეთ მასზე მოკლე ინფორმაცია. ნაწერში შეეხეთ შემდეგ საკითხებს:

- მდებარეობა - სად მდებარეობს?
- მოცულობა - დაახლოებით რამდენი წყალი...?
- ფართობი - როგორია მისი ფართობი?
- გამოყენება/ფუნქცია - რაში გამოიყენება? რა ფუნქციური დატვირთვა აქვს?
- სხვა ინფორმაცია - დაამატეთ ნებისმიერი ტიპის ინფორმაცია

(სათაური)

5.3 საირიგაციო სისტემა

1. დააკავშირეთ სიტყვები ლოგიკურად და შემდეგ მათი გამოყენებით შეადგინეთ წინადადებები:

ნიმუში: 1. სარწყავი – გ. არხები

- | | |
|-----------------|---------------|
| 1. სარწყავი | ა. ქუჩები |
| 2. მიწების | ბ. წყალი |
| 3. მოსავლის | გ. არხები |
| 4. საირიგაციო | დ. ადგილები |
| 5. საცხოვრებელი | ე. მიღება |
| 6. სასმელი | ვ. სისტემა |
| 7. დატბორილი | ზ. დამუშავება |

1. _____.
2. _____.
3. _____.
4. _____.
5. _____.
6. _____.

2. დაასრულეთ წინადადებები ლოგიკურად, გამოიყენეთ ჩარჩოში მოცემული სიტყვები და ფრჩხილებში დროის გამომხატველი ფორმები:

გაუმჯობესება,	ნაგებობა,	აღდგენა,	განცხადება,
საირიგაციო,	მოხმარება,	მომსახურება,	ნაკადი

ნიმუში:

დღესდღეობით სწავლის ხარისხის გაუმჯობესება ილიას უნივერსიტეტის მთავარი მიზანია. (დღესდღეობით)

1. ინფრასტრუქტურის სამინისტრო _____ აქვეყნებს თავის ვებგვერდზე. (ყოველ კვირა).
2. თბილისში კაფეებსა და რესტორნებში _____ ხარისხი უმჯობესდება. (დროთა განმავლობაში)

3. სასმელი წყლის _____ მსოფლიოში სწრაფი ტემპით იზრდება, მისი მარაგი კი არცთუ ისე დიდია. (ყოველდღიურად)
4. შენობის _____ ხარისხი წესით მკაცრად უნდა კონტროლდებოდეს. (ყოველთვის)
5. დაზიანებული გზების და ხიდების _____ იგეგმება. (მომავალ წელს)
6. სვანეთი უფრო და უფრო პოპულარული ხდება, ტურისტების დიდი _____ ჩამოდის. (ყოველ წელს).
8. წვეთოვანი _____ სისტემა ეფექტურია და მას მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში იყენებენ. (ყოველწლიურად).

3. ჩასვით სიტყვები სწორი ფორმით ნიმუშის მიხედვით; გამოიყენეთ სიტყვები „მაგივრად/ნაცვლად“ და შეადგინეთ წინადადებები:

ნიმუში: 1. გზები/მაგივრად

მერია **გზების მაგივრად** ხიდების მშენებლობას დააფინანსებს, რადგან ბიუჯეტში საკმარისი ფული აღარ არის.

1. გზები/მაგივრად _____.
2. გაუმჯობესება/ნაცვლად _____.
3. მუშები/მაგივრად _____.
4. სარწყავი არხები/ნაცვლად _____.
5. სასმელი წყალი/მაგივრად _____.
6. მიწოდება/ ნაცვლად _____.

4. გადაიყვანეთ ზმნის აქტიური ფორმები პასიურში და პირიქით; შემდეგ მათი გამოყენებით შეადგინეთ წინადადებები:

ნიმუში:

აქტიური	პასიური
დააბინძურეს	დაბინძურდა
	კონტროლდება
მიაწოდებენ	

	შემოწმდება
შეუწყვეტენ	
	გარემონტდება
დატბორა	
	აღორძინდა
განახორციელა	
	დატბორილა
ჩაუტარებია	
	გაიზარდა
გააუმჯობესებს	
	შესრულდა
მომარაგებს	

1. ყოველდღიურად: მანქანების გამონაბოლქვისგან ქალაქი **ყოველდღიურად** სულ უფრო მეტად **ბინძურდება**.

2. მომავალში: _____.

3. თურმე: _____.

4. შეიძლება: _____.

5. გასულ წელს: _____.

6. ყოველდღიურად: _____.

7. აქამდე არასდროს: _____.

8. გასულ კვირას: _____.

5. დაასრულეთ წინადადებები ლოგიკურად, ჩასვით შესაბამისი ფორმები:

მიუხედავად იმისა, რომ....,	რადგან,	(-ის) მიხედვით ,
(-ის) ნაცვლად/მაგივრად,	(-ის) გამო,	(-ის) განმავლობაში

ნიმუში:

საირიგაციო პროექტის **მიხედვით**, სარწყავი არხების აღდგენა აპრილში იგეგმება.

1. წყალდიდობის _____ თელავი და მისი მიმდებარე სოფლები მთლიანად დაიტბორა.

2. დაბა სურამს სამი დღის _____ სასმელი წყალი გრაფიკით მიეწოდება.
3. ჩვენს უნივერსიტეტს ტენდერში გამარჯვებული კომპანია მთელი წლის _____ მოამარაგებს.
4. _____, წყლის ხარისხი კონტროლდება, ზოგჯერ ის მაინც საჭიროებს დამატებით შემოწმებას.
5. ხვალ მთელი დღე შეუწყდება ქალაქს ელექტროენერგია, _____ ენგურაჟეს დაზიანდა და მიმდინარეობს სარემონტო სამუშაოები.

6. დაასრულეთ დიალოგები, ჩასვით ზმნები და ნაწილაკი „-მეთქი“ და „-თქო“ სათანადო ადგილას (ყურადღება მიაქციეთ, ზმნები ზედმეტია):

წავიდეთ
ემსახურება
იტბორება
წარმოადგენს
მოწმდება
ფინანსდება
უწყდება

ნიმუში:

- ნინო, რა სთხოვე დედაშენს, ზამთარში დასასვენებლად სად წავიდეთო?
- დედას ვუთხარი, ან გუდაურში, ან ბაკურიანში **წავიდეთ -მეთქი**__.

1. - გუშინ პრეზენტაციამ როგორ ჩაიარა?
-ძალიან კარგად. აუდიტორიას ვუთხარი, რომ ჩვენი პროექტი ხალხს _____
_____.
2. -რა სთქვით პროექტის დაფინანსების შესახებ?
- ვთქვი, რომ პროექტი და მისი ყველანაირი ხარჯი, ყველაფერი, სამინისტროს მიერ _____.
3. - რა თქვეს გამგეობაში ამ პრობლემაზე?
- თქვეს, რომ ქუჩას სანიაღვრე სისტემა არ აქვს და ამიტომ წვიმების დროს ბინაც, ეზოებიც და სარდაფებიც _____.
4. - რა უპასუხე, როცა სასმელი წყლის შესახებ გკითხეს?
- ვუთხარი, რომ ხარისხის კონტროლის სამსახურის მიერ სასმელი წყალი სისტემატურად _____.

7. ჩასვით სიტყვები „მაგივრად/ნაცვლად“ სათანადო ადგილას, ხოლო მათთან დაწყვილებულ სახელებს შეურჩიეთ შესაბამისი ბრუნვა.

სასმელი წყალი/მაგივრად,	სასმელი წყალი/ნაცვლად,	გაუმჯობესება/მაგივრად,
ინტერნეტი/მოხმარება/ნაცვლად,	სამი/ თვე/ნაცვლად,	დაფინანსება/მაგივრად

ნიმუში:

როცა წყალი არ მოდის და ონკანი მოშვებულია, მიღებში **სასმელი წყლის ნაცვლად** ჰაერი გროვდება.

1. ზოგიერთ ქვეყანაში მოსახლეობა _____
მდინარის გაუფილტრავ წყალს მოიხმარს.
2. პაციენტის მდგომარეობა _____ უარესდება.
3. მინდა, რომ ჩემი შვილები წიგნებს კითხულობდნენ _____.
4. პროექტი _____ ერთ წელში განხორციელდება.
5. სასოფლო-სამეურნეო პროექტის _____ სამინისტრომ გზების აღდგენის პროექტი დააფინანსა.

8. გაასწორეთ შეცდომები, ყურადღება მიაქციეთ ზმნის აქტიურ და პასიურ ფორმებს:

ნიმუში:

მოსახლეობას იმედი აქვს, რომ წყლის მიწოდება **გააუმჯობესებს გაუმჯობესდება**.

1. მთავრობას მსგავსი ტიპის პროექტი ამ რეგიონში აქამდე არასდროს **განხორციელებულა**.
2. ხშირი წვიმების გამო, აჭარის სოფლები **დატბორეს**.
3. ტერორისტული აქტის გამო, აეროპორტში უსაფრთხოების ზომებს **მკაცრდება**.
4. სოფლის მეურნეობა ნელნელა ვითარდება და, შეიძლება, მომავალში **ააღორძინოს**.
5. სკოლებს, ბაღებსა და საავადმყოფოებს წყალი და დენი უწყვეტ რეჟიმში **აწოდებს**.

9. მოცემული სიტყვების გამოყენებით შეადგინეთ ტექსტი. წარმოიდგინეთ, რომ მიმდინარეობს ახალი წყალსაცავის მშენებლობა; შეადგინეთ ტექსტი ამის შესახებ:

მიუხედავად იმისა, რომ, გამოთქვეს აბრი, სარემონტო სამუშაოები,	დეტალური ინფორმაცია, ნაბიჯი გადაიდგა, უსაფრთხოების ზომები,	ზაფხულის განმავლობაში, იწვევს ინტერესს, ეროვნული მნიშვნელობის
--	--	---



10. საუბარი

უპასუხეთ შეკითხვებს და იმსჯელეთ მოცემულ საკითხებზე:

1. თქვენი აზრით, რა შეუწყობს ხელს სოფლის-მეურნეობის აღორძინებას?
2. არსებობს თუ არა საირიგაციო სისტემა თქვენს რეგიონში? თუ კი, როგორია ის?
3. არის თუ არა საჭირო საირიგაციო სისტემის არსებობა? რატომ?
4. თქვენი აზრით, რა არის დღესდღეობით სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი მთავარი პრობლემა?
5. როგორ ფიქრობთ, რა ნაბიჯები უნდა გადადგას მთავრობამ, რომ ხელი შეუწყოს სოფლის მეურნეობის განვითარებას?

VI ტავი

6.1 საშემოდგომო გამწვანება

1. დააკავშირეთ სიტყვები სურათებთან, შემდეგ გამოიყენეთ ისინი წინადადებებში:

ძირი,	ნერგი,	შემოგარენი,	გამხმარი,
	წიწვოვანი,	ფოთლოვანი	



1. _____

2. _____

3. _____



4. _____

5. _____

6. _____

ნიმუში:

ქალაქის შემოგარენში ახალი სასტუმროს მშენებლობა მიმდინარეობს.

1. _____.

2. _____.

3. _____.

4. _____.

5. _____.

1. დააკავშირეთ სიტყვები მნიშვნელობებთან, შემდეგ კი ლოგიკურად ჩასვით წინადადებებში:

ნიმუში:

1. ნერგი
2. მიმდებარე
3. რეკომენდაცია
4. მიმდინარე

5. შემოგარენი

6. უბანი
7. განაშენიანება
8. გამწვანება

- ა. ქალაქის ან სოფლის ერთერთი კუთხე, ნაწილი
- ბ. დასარგავად გამზადებული მცენარე
- გ. ის, რაც ახლა ხდება
- დ. ვინმეს დადებითი დახასიათება

ე. ირგვლივ მდებარე ადგილი, მიდამო

- ვ. ის, რაც ახლოს არის
- ზ. ქალაქის, სოფლის ან დაბის გაშენების ხასიათი
- თ. მწვანე ფერის მიცემა, ბევრი მცენარის დარგვა

ჩემი სოფელი პატარა და ლამაზია. მისი 1. **შემოგარენი** დღეს წიწვოვანი ხეებითაა განაშენიანებული, თუმცა ადრე ასე არ იყო. თურმე სოფლის შემოგარენის 2. _____ ბაბუაჩემს გადაუწყვეტია. მას ჭადრის 100 3. _____ დაურგავს მინდვრის თავში. დღეს ეს ადგილი სოფლის ყველაზე ლამაზი 4. _____. ახალგაზრდებიც ზრუნავენ სოფელზე. ამჟამად ისინი 5. _____ პროექტზე მუშაობენ. ახალგაზრდების იდეით და გამგეობის 6. _____ სოფლის 7. _____ ტერიტორიაზე მალე 200 ახალი ნერგი დაირგვება. პროექტი 8. _____ წლის ბოლომდე დასრულდება.

3. გადაიყვანეთ ზმნები აქტიური ფორმიდან პასიურში და პირიქით, შემდეგ მათი გამოყენებით შეადგინეთ წინადადებები:

ნიმუში:

აქტიური	პასიური
ჭრის	იჭრება
რგავს	
	მწვანდება

ჩანაცვლოს	
	დაირგვება
გაუმწვანებია	
	ჩანაცვლებულა
დაურგავს	
ჩანაცვლა	
	მოჭრილა
მოჭრა	
	გამწვანდა

1. ყოველდღიურად: **ყოველდღიურად იჭრება** ხეები და ქალაქს ახალი შენობები ემატება.
2. მომავალში: _____.
3. თურმე: _____.
4. შეიძლება: _____.
5. გასულ წელს: _____.
6. ყოველდღიურად: _____.
7. აქამდე არასდროს: _____.
8. გასულ კვირას: _____.

4. ჩასვით სიტყვები სათანადო ადგილას და დაასრულეთ წინადადებები ლოგიკურად. მიაქციეთ ყურადღება, რომ მოცემულია ჩასასმელი სიტყვის პირველი ასო:

ნიმუში:

თიანეთში მიმდინარე სამშენებლო პროექტი მალე დასრულდება.

1. პროექტ „მილიონი ხის“ ფარგლებში დარგული ხეების ნაწილი დღეს **გ** _____. თუმცა ზოგი ხე გახარებულია.
2. ეთნოგრაფიული მუზეუმის **მ** _____ ტერიტორიაზე მალე 100 ნერგი დაირგვება.
3. კუს ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე სხვადასხვა სახეობის **ფ** _____ მცენარეები იზრდება.
4. **წ** _____ ტყეები ბევრია დასავლეთ საქართველოში.
5. გამგებელმა ჟურნალისტებს ინტერვიუში **დ** _____ უამბო ქალაქის განაშენიანების პროექტის შესახებ.

5. ჩასვით შესაბამისი ფორმები გამოთვებულ ადგილას:

არა მარტო.... არამედ (2),	გარდა ამისა,	-ის რეკომენდაციით (2),
-ის განმავლობაში,	-ის შესახებ,	განაშენიანების

ნიმუში:

მოსახლეობა კმაყოფილია, რომ მერიამ დააფინანსა არა მარტო ქალაქის **განაშენიანების** (განაშენიანება) პროექტი, არამედ გამწვანებაც.

1. წლის ბოლომდე _____ ახალი ნერგები დაირგვება, _____ ქალაქი მთლიანად განაშენიანდება.
2. ვახტანგი ერასმუსის პროგრამით სწავლობს მაგისტრატურაში, ის ამ პროგრამაზე მისი _____ მოხვდა. (პროფესორი)
3. გორის გამგეობა გამწვანების პროექტს დააფინანსებს, _____ ქალაქში სხვა გარემოს დაცვითი ღონისძიებებიც ჩატარდება.
4. _____ ნინომ ახალი სამსახური დაიწყო. (დირექტორი)
5. ძლიერმა წვიმებმა _____ დატბორა დაბა სურამი, _____ გზები და ხიდებიც დააზიანა.
6. ქალაქის განაშენიანების პროექტი ხუთი _____ მიმდინარეობდა. (თვე)
7. მერია ინფორმაციას ავრცელებს ხეების _____. (მოჭრა)

6. მოცემულ წინადადებებში გადახაზეთ ზმნა, რომელსაც არასწორი ფორმა აქვს:

ნიმუში:

საინტერესოა, რამდენი კუბური მეტრი ხე-ტყე **ჭრის/იჭრება** საქართველოში ყოველწლიურად?

1. დიდუბის რაიონის გამგებელმა თქვა, რომ გაზაფხულისთვის სკვერებს კეთილმოეწყობა/კეთილმოაწყობენ და გამწვანდება/გაამწვანებენ.
2. თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე გასულ წელს 200 ძირი ჭადრის ხე დაირგო/დარგო.
3. ახალი ტრანზიტული გზის მშენებლობა მალე უნდა დაასრულოს/დასრულდეს.
4. მცხეთაში ბოლო ათი წლის განმავლობაში იმდენი რამე გააკეთა/გაკეთდა, რაც აქამდე არასდროს გაკეთებულა/გაუკეთებია.

5. ალბათ, მომავალში წიგნს კომპიუტერი მთლიანად ჩანაცვლდება/ჩაანაცვლებს.
6. მერიის შესაბამისი სამსახურის წარმომადგენლებმა ზუგდიდში გამხმარი ხეები მოჭრეს/მოიჭრა.
7. ყვარელში საბავშვო ბაღის ეზოები უნდა მწვანდება/გამწვანდეს.

7. გადაიყვანეთ წინადადებები მომავალ დროში:

ნიმუში:

გავრცელებული ინფორმაციით ასწლიან ნაძვებს **ჭრიან**.
გავრცელებული ინფორმაციით ასწლიან ნაძვებს **მოჭრიან**.

1. უცხოური ხორცი ქართული პროდუქტით **ჩაანაცვლეს**.
_____.
2. ბაღდათის სკოლის მოსწავლეებს აქცია **ჩაუტარებიათ** და სკოლის ეზო **გაუმწვანებიათ**.
_____.
3. მიმდინარე პროექტის ფარგლებში, ქალაქ თელავის სკოლებსა და ბაღებში ფერადი ყვავილები **ირგვება**.
_____.
4. ქალაქის ცენტრალურ სკვერში ხუთი წლის მათეს ნახატების გამოფენა **მოეწყო**.
_____.
5. სუპერმარკეტებში საკვები პროდუქტის ხარისხი რეგულარულად უნდა **შემოწმდეს**.
_____.
6. ახალი მეურნეობა კახეთის მოსახლეობას ვაზის ნერგებით **ამარაგებს**.
_____.
7. ქალაქის გამწვანების პრობლემა სწრაფად ვერ **გვარდება**.
_____.

8. კითხვა:

ა. წაიკითხეთ ტექსტი და დაასათაურეთ აბზაცები (ყურადღება მიაქციეთ, რომ ერთი სათაური ზედმეტია):

- მერიის მთავარი გამოწვევა
- მწვანე სახურავები
- პირველი ნაბიჯები
- იმედის მომცემი მომავალი

1. _____

ქალაქის გამწვანების საკითხი დღეს ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა. ამ კუთხით მერიაში სხვადასხვა

ლონისძიება ტარდება. მაგალითად, გასულ კვირას საცურაო აუზ „ოლიმპიკთან“ აქცია გაიმართა. მერიის წარმომადგენლებმა და ადგილობრივმა მოსახლეობამ 200-მდე სახეობის ხე დარგეს. ასევე, საცხოვრებელი კორპუსების მიმდებარე სკვერებსა და ქუჩებში ირგვება ხეები. გამწვანების სამუშაოები მთელი ქალაქის მასშტაბით მიმდინარეობს. მოსახლეობაც ძალიან აქტიურადაა ჩართული.

2 _____

აღსანიშნავია, რომ ბოლო პერიოდში ავტომანქანების გამონაბოლქვის, ასევე მშენებლობის ზრდისა და მწვანე საფარის შემცირების გამო, ქალაქის ეკოლოგიური გარემო გაუარესდა.

თუმცა, თბილისის მერიამ პირველი ნაბიჯები უკვე გადადგა. მაგალითად, შეიქმნა ფონდი „მწვანე მომავალი“, რომლის ფარგლებში დაირგო ათასობით ნერგი. ასევე, ერთ-ერთი ასეთი ნაბიჯი არის ის რომ, თბილისის ცენტრალურ უბნებში მაღალსართულიანი კორპუსების მშენებლობებზე ნებართვის აღება დროებით შეიზღუდა.

3 _____

გარდა ამისა, დედაქალაქის მთავრობა „მწვანე სახურავების“ და ტერასების განვითარებას დაიწყებს. ეს იქნება სრულიად ახალი ნაბიჯი კორპუსების გამწვანებისათვის.

დედაქალაქის ხელმძღვანელობის ამ ახალ ინიციატივას მხარს უჭერენ არქიტექტორები. მათი აზრით მწვანე სახურავების იდეა საინტერესო და მისაღებია, თუმცა საკმაოდ ძვირადღირებული პროექტი იქნება.

4 _____

მართალია, ის რაც აშენებულია, ვეღარ შეიცვლება და თბილისის ბევრი უბანი თუ ქუჩა უკვე დაუშნოვებულია, მაგრამ ქალაქის მერია მომავალზე ფიქრობს, ამ მხრივ შესაბამის ზომებს იღებს და ეს უკვე იმედის მომცემია.

ბ. წაიკითხეთ ტექსტი კიდევ ერთხელ და წინადადებები დაალაგეთ ტექსტში მოცემული თანმიმდევრობით:

- მერიაში შექმნილია ფონდი „მწვანე მომავალი“.
- მშენებლობის ზრდის და მწვანე საფარის შემცირების გამო, თბილისის ეკოლოგიური გარემო გაუარესდა.
- გამწვანების აქციებში მოსახლეობა აქტიურადაა ჩართული.
- საცხოვრებელი კორპუსების მიმდებარე სკვერებსა და ქუჩებში ხეები ირგვება.
- გასულ კვირას საცურაო აუზ „ოლიმპიკთან“ აქცია გაიმართა.
- თბილისში მაღალსართულიანი კორპუსების მშენებლობებზე ნებართვის აღება შეიზღუდა.

10. წერა

წარმოიდგინეთ, რომ ახორციელებთ ქალაქის გამწვანების პროექტს. აღწერეთ, რას გააკეთებთ. წერისას გამოიყენეთ შემდეგი საკითხები:

- ქალაქის ცენტრი
- ქალაქის შემოგარენი
- პარკები/სკვერები
- ეკოლოგია
- მშენებლობები

[illegible]

10. საუბარი:

იმსჯელეთ მოცემულ საკითხებზე, ეთანხმებით თუ არ ეთანხმებით. დაასაბუთეთ თქვენი მოსაზრება:

1. ქალაქის გამწვანებაზე მხოლოდ მთავრობამ უნდა იზრუნოს.
2. მწვანე საფარის არსებობა გარემოს მთავარი გამაჯანსაღებელი ფაქტორია.
3. მშენებლობები აუცილებელია ქალაქის განაშენიანებისთვის.
4. ქუჩებისა და სკვერების გამწვანება ხელს შეუწყობს ქალაქის ეკოსისტემის ნორმალურ ფუნქციონირებას.
5. ახალი ხეები უნდა დაირგას, ძველი, გამხმარი ხეები კი უნდა მოიჭრას.
6. ქალაქებში პარკებს დიდი ტერიტორია არ უნდა ეკავოს.

6.2 სპვერის მოწყობა

1. დააკავშირეთ სიტყვები სურათებთან, შემდეგ გამოიყენეთ ისინი წინადადებებში:

სკვერი, ბორდიური, საფარი, პავილიონი, ბოძი, ფილა



1. _____

2. _____

3. _____



4. _____

5. _____

6. _____

ნიმუში:

გაზაფხულზე ძველ რუსთავეში ახალი სკვერი გაიხსნება.

1. _____.
2. _____.
3. _____.
4. _____.
5. _____.

2. შეავსეთ ცხრილი, ჩასვით ზმნები სწორი ფორმით ნიმუშის მიხედვით და შეადგინეთ წინადადებები (ყურადღება მიაქციეთ, რომ გამოყენებულია ზმნის აქტიური და პასიური ფორმები):

დღესდღეობით	მომავალში	შეიძლება	ჯერ არ/თურმე
კეთდება	გაკეთდება	გაკეთდეს	გაკეთებულა
	შეიცვლება		
		დავდგათ	
			მოუწყვია
აახლებენ			
	დაიდგმება		
			შეუცვლიათ
ვაკეთებთ			
		განახლდეს	
	მოეწყობა		

ნიმუში:

მომავალში: უახლოეს მომავალში ქალაქის ზოგიერთ უბანში შადრევნები გაკეთდება.

1. დღესდღეობით: _____.
2. ჯერ არ: _____.
3. შეიძლება: _____.
4. მომავალში: _____.
5. თურმე: _____.

6. შეიძლება: _____.
7. დღესდღეობით: _____.
8. ჯერ არ: _____.

3. შეცვალეთ ზმნის აქტიური ფორმა პასიურით:

ნიმუში:

ბათუმის მერია ქალაქს პალმებით **ამწვანებს**.

ქალაქი ბათუმის მერიის მიერ **მწვანდება** პალმებით.

- ძველი კორპუსის ლიფტი დიდი ხანია, არ **შეუკეთებიათ**.
ძველი კორპუსის ლიფტი _____.
- მერიამ ძველ თბილისში ახალი სკვერი შეიძლება **გახსნას**.
ახალი სკვერი _____.
- გასულ კვირას თელავის ქუჩებში მერიამ საგაზაფხულო გამოფენა **მოაწყო**.
გასულ კვირას საგაზაფხულო გამოფენა _____.
- გამწვანების სამსახურში ამბობენ, რომ თბილისში ყოველ წელს **რგავენ** ახალ ნერგებს.
თბილისში ყოველ წელს _____.
- წყლის მიწოდება გორში დილიდან **განაახლეს**.
გორში წყლის მიწოდება _____.
- მიმდინარე მშენებლობის გამო ქუჩაზე უზარმაზარ ხეებს **ჭრიან**.
უზარმაზარი ხეები _____.
- გამწვანების სამსახურში აცხადებენ, რომ პროექტის დასრულების ვადა შეიძლება **შეცვალონ**.
პროექტის დასრულების ვადა _____.

4. დააკავშირეთ სიტყვები ერთმანეთთან:

ნიმუში: 1 – გ

- | | |
|-------------------|--------------|
| 1. დასასვენებელი | ა. კედელი |
| 2. სათამაშო | ბ. საფარი |
| 3. მწვანე | გ. კომპლექსი |
| 4. სარეაბილიტაციო | დ. ბოძი |

- | | |
|--------------|---------------|
| 5. გზისპირა | ე. ცენტრი |
| 6. განათების | ვ. მოედანი |
| 7. გასართობი | ზ. ფილები |
| 8. იატაკის | თ. სამუშაოები |

5. ჩასვით ზემოთ მოცემული ფრაზები წინადადებებში ლოგიკურად (ყურადღება მიაქციეთ, რომ ზოგჯერ სიტყვის ფორმის შეცვლა აუცილებელია):

ნიმუში:

ივლისის თვეში ყვარელში ახალი დასასვენებელი კომპლექსი გაიხსნება.

1. ნუცუბიდის ქუჩაზე სკვერისა და _____ მშენებლობა მიმდინარეობს, ეს იდეა ბავშვებს გაახარებს.
2. სამზარეულოში _____ უნდა დავაგოთ.
3. გმირთა მოედნისა და თამარაშვილის ქუჩების კუთხეში გზის მონაკვეთის _____ მალე დასრულდება.
4. _____ მნიშვნელოვანია ქალაქში ჯანსაღი გარემოს არსებობისთვის.
5. გუმბინ ძლიერი ქარის გამო ქუთაისში გარე _____ წაიქცა.
6. ბავშვთა _____ აგრძელებს საახალწლო ღონისძიებებს.
7. ილიას უნივერსიტეტის კორპუსის _____ მუშები მთელი დღის განმავლობაში ღებავდნენ.

6. აირჩიეთ მოცემული პასუხებიდან სწორი ვარიანტი და გახაზეთ:

ნიმუში:

სახლის სახურავზე ულამაზესი ბაღია ა. გაშენებული.

გაშენებული ბ. აღნიშნული

1. პარკებსა და სკვერებში სხვადასხვა სახეობის _____ მცენარეებია დარგული.
ა. ხელოვნური ბ. დეკორატიული
2. ამჟამად მთიან ადგილებში _____ ზოლის გაწმენდითი სამუშაოები მიმდინარეობს.
ა. გზისპირა ბ. მოწყობილი
3. ბათუმის მშენებარე სტადიონზე _____ საფარს აგებენ.
ა. დაყრილ ბ. ხელოვნურ

4. გარემოს დაცვის პროექტი დროის დიდ მონაკვეთზეა _____.
- ა. გათვლილი ბ. დაყრილი
5. პავილიონის შესასვლელში _____ ფილებია დაგებული.
- ა. დაკავშირებული ბ. ფერადი
6. გამგეობაში აცხადებენ, რომ სოფლის მოსახლეობას _____ პრობლემა მალე მოუგვარდება.
- ა. მოწყობილი ბ. აღნიშნული
7. ინტერნეტი მალე დასავლეთ საქართველოს ბევრ სოფელში იქნება _____.
- ა. გაყვანილი ბ. დაყრილი

7. შეაერთეთ წინადადებები ლოგიკურად:

ნიმუში: 1 – ბ

~~1. დიდთოვლობის გამო, გუდაურისკენ მიმავალ გზაზე~~

2. გავრცელებული ინფორმაციით,
3. მგონი, გამგეობა აპირებს დააფინანსოს
4. ზუგდიდში სკვერებსა და პარკებში ისეთი
5. თურმე ქალაქ თელავში ისეთი პავილიონი გაუკეთებიათ,
6. მიიღე ცხოვრება ისეთი,

- ა. ქალაქ ხაშურის ცენტრალური სკვერის რეაბილიტაცია.
- ბ. როგორიც პარიზშია.
- გ. როგორიც არის.

~~დ. აკრძალულია მისაბმელიანი ტრანსპორტით მოძრაობა.~~

- ე. მიწისქვეშა ელექტროგადამცემი ხაზები დაზიანდა.
- ვ. საბავშვო ატრაქციონები მოეწყობა, როგორიც შარშან ქუთაისსა და ბათუმში მოაწყვეს.

8. მოცემული სიტყვები ჩასვით სათანადო ადგილას და დაასრულეთ წინადადებები:

იცვლება,	იდგმება,	უახლოვდება,	ახლდება,	კეთდება,
	ეწყობა,	ტარდება,	მზადდება	

ნიმუში:

გზების გაწმენდითი სამუშაოები დასასრულს უახლოვდება.

1. მოსახლეობის მოთხოვნით, თბილისში ძველი საბაგიროები _____. რამდენიმე მათგანი უკვე ამუშავდა.
2. საახალწლო ღონისძიებები თითქმის ყველა დიდ ქალაქში _____.
3. გამოფენა ახალგაერმონტებულ საგამოფენო დარბაზში _____.
4. ველოსიპედისტებისთვის ბილიკები _____. რამდენიმე ბილიკი უკვე გაკეთებულია.
5. ქალაქის გამწვანებასთან დაკავშირებით მერიის მხრიდან ნაბიჯები _____.
6. საწვავის ფასი ყოველდღე _____.
7. მომავალი წლის სამოქმედო გეგმა _____, თუმცა ის ჯერ დასრულებული არ არის.



9. ა. მოისმინეთ ინტერვიუ და რამდენიმე წინადადებით აღწერეთ, რაზეა საუბარი:

ბ. კიდევ ერთხელ მოისმინეთ ინტერვიუ და დაადგინეთ, წინადადებები სწორია თუ არა:

ნიმუში:

დიდთოვლობის გამო საავტომობილო გზებზე მოძრაობა შეწყვეტილია. **მცდარი**

1. გომბორის გზის ცალკეულ მონაკვეთზე მოძრაობა შეზღუდულია.
2. ყველაზე მძიმე მდგომარეობა ქუთაისის აეროპორტშია.
3. გურიის სოფლებს ელექტროენერგია შეუზღუდავად მიეწოდება.
4. ქუთაისის აეროპორტში ფრენა გადადებულია.
5. უახლოეს დღეებში ცივი და თოვლიანი ამინდები იქნება.

10. წერა

დაწერეთ განცხადება. მოიფიქრეთ პრობლემა, რომლის შესახებაც გინდათ მიმართოთ ადგილობრივ მთავრობას. ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი შემდეგი პუნქტების მიხედვით:

- არსებული ვითარების აღწერა
- მიზეზი
- მიზანი
- თხოვნა

განცხადება

6.3 ბოტანიკური ბალის რეაბილიტაცია

1. დააკავშირეთ სიტყვები მნიშვნელობებთან და შეადგინეთ წინადადებები მათი გამოყენებით:

ნიმუში: 1- გ

1. შემოსავალი
2. მომხმარებელი
3. მნახველი
4. ტენდერი
5. საფეხური
6. მოაჯირი
7. კვება
8. მომსახურება

ა. სანახავად მოსული, ვიზიტორი

ბ. საჭმლის მიცემა ან მიღება, ჭამა

გ. წარმოებით, მეურნეობით, ვაჭრობით ან სხვა საქმიანობით მიღებული მოგება

დ. სამუშაოს, მომსახურების, სახელმწიფო შესყიდვების ერთ-ერთი ფორმა

ე. ორგანიზაცია ან ცალკე პირი, რომელიც გამოყენების მიზნით იძენს რამეს, მყიდველი

ვ. კიბის, აივნის, ხიდის ნაწილი, რომელსაც ხელს ვკიდებთ

ზ. სამსახურის გაწევა

თ. კიბის ნაწილი, ასვლა-ჩამოსვლისას ფეხის დასადგმელი

1. _____.

2. _____.

3. _____.

4. _____.

2. ჩასვით სიტყვები სათანადო ადგილას და დაასრულეთ წინადადებები ლოგიკურად. მიაქციეთ ყურადღება, რომ მოცემულია ჩასასმელი სიტყვის მხოლოდ პირველი ასო:

ნიმუში:

საახალწლო დღეებში სათამაშოების კომპანია ბევრ ახალ მომხმარებელს იზიდავს.

1. მოსახლეობის საშუალო შ _____ 900 ლარს აღემატება.

2. ჩვენი კომპანია გთავაზობთ მ _____ სახლიდან გაუსვლელად.

3. სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოებზე სამინისტრომ ტ _____ გამოაცხადა.

4. თბილისის ახლად გახსნილ პავილიონს ყოველდღიურად ათასობით მ _____ სტუმრობს.

5. სწორი კ _____ ორგანიზმის ჯანმრთელობას უზრუნველყოფს.

6. საქართველოს უამრავი ტურისტი სტუმრობს, მათ განსაკუთრებით უყვართ მთიანი ადგილების დ _____.

7. ტენდერში გამარჯვებული კომპანია ძველი შენობების კიბის ს _____ და მ _____ შეაკეთებს.

3. დააკავშირეთ ანტონიმები, შემდეგ მათი გამოყენებით შეადგინეთ წინადადებები:

ნიმუში: 1 – 8

1. გამწვანებული	ა. ხელოვნური
2. დანგრეული	ბ. ძველი
3. დაზიანებული	გ. ცენტრალური
4. ბუნებრივი	დ. ზოგადად
5. უახლესი	ე. აღდგენილი
6. დაწვრილებით	ვ. პატარა
7. განაპირა	ზ. გამხმარი
8. უზარმაზარი	თ. მოვლილი

1. თბილისის ზღვის **გამწვანებული** შემოგარენი ლამაზია და ბევრ ტურისტსა თუ ადგილობრივ მნახველს იზიდავს.

2. _____.
3. _____.
4. _____.
5. _____.
6. _____.

4. ნიმუშის მიხედვით შეარჩიეთ და გახაზეთ ორი სწორი პასუხი:

ნიმუში: ა. კონკურსს ბ. ვაკანსიებს

1. სამინისტრო ახალგაზრდებისთვის აცხადებს ____ ა. კონკურსს / ბ. ვაკანსიებს ____.

ა. კონკურსს ბ. ვაკანსიებს გ. გეგმას

2. სპეციალისტების რეკომენდაციით, ქალაქის გამწვანების _____ უახლოეს მომავალში **მომზადდება**.

ა. შემოგარენი ბ. გეგმა გ. პროექტი

3. წლის ბოლომდე 100-ზე მეტი ახალი საწარმოს _____ **მოხერხდება**.

ა. დაფინანსება ბ. ამუშავება გ. დარგვა

4. გამგეობაში აცხადებენ, რომ გადაწყვეტილების მიღებისას მოსახლეობის _____ **გაითვალისწინებენ**.

ა. მომსახურებას ბ. მოთხოვნებს გ. პოზიციას

5. წლის ბოლომდე თბილისში რამდენიმე უბანში _____ მოეწეობა.

ა. მწვანე სკვერი ბ. მიწისქვეშა გადასასვლელი გ. მოაჯირი

6. ტენდერში გამარჯვებული კომპანია _____ იანვრიდან განაახლებს.

ა. სარემონტო სამუშაოებს ბ. რეკომენდაციას გ. მუშაობას

5. მოცემული ვარიანტებიდან აირჩიეთ სწორი ვერსია და გაუსვით ხაზი:

ნიმუში:

ახალი საცხოვრებელი კომპლექსი მხოლოდ 100 ოჯახზეა დაგებული/**გათვლილი**.

1. სამინისტროს მიერ გამოცხადებული/ჩატარებული სატენდერო პირობები მკაცრია.
2. კომპანია პირობას დებს, რომ მომხმარებლებს საახალწლოდ დაგებულ/გარემონტებულ ბინებს ჩააბარებს.
3. ბორჯომ-ბაკურიანის მცხოვრებლებს მალე მოსწორებული/განაახლებული და აღდგენილი/გამოცხადებული მატარებელი მოემსახურება.
4. ახალციხის მცხოვრებლები უკმაყოფილებას გამოხატავენ, რადგან ერთი წლის წინ ჩატარებული/დაგებული ასფალტი უკვე იყრება.
5. გამგებელმა მდინარე მტკვარზე აშენებული/ჩამოტანილი ხიდი მოინახულა.
6. სახლის წინ გამოცხადებულია/დაგებულია ფერადი ფილები, რაც ეზოს ძალიან ალამაზებს.
7. ახალ საცხოვრებელ კორპუსს ხელოვნურად მოსწორებულ/ჩამოტანილ ადგილზე ააშენებენ.

6. ჩასვით მოცემული ფორმები ტექსტში ლოგიკურად:

იქნებ წავიდეთ,	იქნებ დაასრულონ,	იქნებ მოვამზადოთ,
იქნებ მოახერხო,	იქნებ გამოაცხადოს,	იქნებ გაითვალისწინონ,
იქნებ შეცვალონ,	იქნებ შეაკეთოთ	

ნიმუში:

დიდი ხანია ევროპაში მინდა წასვლა და წელს **იქნებ** ერთად **წავიდეთ**.

1. მთელი დღეა ტრაქტორით მუშაობენ უბანში, ხმაურია. გზების მოსწორება _____ ხვალამდე მაინც _____.
2. დეკემბრის ბოლოს არის გამწვანების პროექტის ჩაბარების ბოლო ვადა. ამ დღეებში _____ და გავგზავნოთ ჩვენი პროექტი.

3. იუსტიციის სასწავლო ცენტრის ახალი ეგვის შესყიდვას უნდა. _____ ტენდერი _____ და ჩვენმა კომპანიამ გაიმარჯვოს.

4. - ხვალ სალამოს ხომ მოხვალ საბეიმო კონცერტზე?

- არ ვიცი, შეიძლება ვერ მოვიდე/

- _____ მოსვლა, ძალიან გაგვიხარდება.

5. ეს რესტორანი ძალიან ლამაზია, მაგრამ მომსახურება არ აქვთ კარგი. _____ მომხმარებლების რჩევები.

6. ჩვენს აივანს ახალი მოაჯირი გავუკეთეთ, მაგრამ არ მოგვწონს. ხვალ უკან უნდა წავიღოთ, _____ და სხვანაირი მოაჯირი მოგვცენ.

7. ცხვედაძის ქუჩის მოსახლეობა მერიას თხოვნით მიმართავს:

„ - _____ გზები _____, რადგან წვიმიან ამინდში ქუჩაში გავლა შეუძლებელია.“

7. ჩასვით სიტყვები – თანხან მრავლობითში, შემდეგ მათი გამოყენებით შეადგინეთ წინადადებები:

ნიმუში: ხეები/რომლების მოჭრა - ხეები, რომელთა მოჭრა

1. ადამიანები/უფლებები - _____.

2. ვიზიტორები/სახლი - _____.

3. მოქალაქეები/რომლების მოთხოვნები - _____.

4. მცენარეები/კონსერვაცია - _____.

5. შენობები/რომლების რეაბილიტაცია - _____.

ნიმუში: ხეები, რომელთა მოჭრაც აუცილებელია, უნდა მოიჭრას.

1. _____.

2. _____.

3. _____.

4. _____.

5. _____.

8. გადაიყვანეთ ზმნები აქტიური ფორმიდან პასიურში და პირიქით. შემდეგ ჩასვით წინადადებებში: ნიმუში:

მოქმედებითი	ვნებითი
გამოაცხადა	გამოცხადდა
	მოხერხდა
დაგეგმავს	
	განხორციელებულა
გაარემონტებს	
	ცხადდება
მოუხერხებია	
	მომზადდა
დაუგეგმავს	
	მოეწყო
განახორციელებს	

1. მრავალსართულიანი ავტოსადგომების მშენებლობაზე ტენდერი **ცხადდება**.
2. მსგავსი მასშტაბის პროექტი სამცხე-ჯავახეთის რეგიონში აქამდე არასდროს _____.
3. გუშინ საკრებულოში კონკურსში გამარჯვებული კომპანია _____.
4. დიდთოვლობის გამო გზების გაწმენდა კობი-გუდაურის მონაკვეთზე ჯერჯერობით ვერ _____.
5. მუნიციპალიტეტის განვითარების ფონდი მომავალ წელს ძველ საბავშვო ბაღებს _____.
6. ვერის პარკში რაგბის, მინი გოლფისა და კალათბურთის მოედნები _____ მერიის ხელშეწყობით.

9. შეადგინეთ ტექსტი მოცემული სიტყვების გამოყენებით:

წარმოიდგინეთ, რომ თქვენს უბანში იგეგმება ახალი სკვერის მოწყობა. აღწერეთ ჩასატარებელი სამუშაოები. გამოიყენეთ ქვემოთ მოცემული სიტყვები და ზმნები:

აცხადებს, ითვალისწინებს, მოხერხდება, მოეწყობა, ჩანაცვლდება,
 ბორდიური, გზისპირა, ფილები, მწვანე საფარი, ნერგები,
 დეკორატიული, ხელოვნური, ბუნებრივი, გათვლილი,
 შადრევანი, ყვავილები, ბილიკები



10. საუბარი:

პასუხი გაცემით შეკითხვებს და იმსჯელეთ:

1. თქვენი აზრით, როგორია გამწვანების დონე თბილისში?
2. როგორ ფიქრობთ, ვინ უნდა იზრუნოს ქალაქის გამწვანებაზე? დაასაბუთეთ, რატომ ფიქრობთ ასე?
3. რამდენად ხშირად სტუმრობთ ქალაქის პარკებს? რას აკეთებთ იქ?
4. როგორ ფიქრობთ, ყველაზე მეტად რა მოსწონთ თბილისის ვიზიტორებს ამ ქალაქში? რა არის ის, რაც არ მოსწონთ?
5. თქვენი აზრით, ქალაქიდან გაუსვლელად შესაძლებელია კარგი დასვენება და სასიამოვნო დროის გატარება? როგორ?

შემაჯამებელი: ტაჰი IV-V-VI

1. დააკავშირეთ სიტყვები ერთმანეთთან, შემდეგ ჩასვით ისინი წინადადებებში ლოგიკურად (ყურადღება მიაქციეთ, რომ ზოგჯერ აუცილებელია სიტყვის ფორმის შეცვლა):

ნიმუში: 1 – გ

1. საერთაშორისო	ა. ხელმოწერა
2. გარემოს	ბ. განცხადება
3. დირექტორის	გ. ხელშეკრულება
4. სარეაბილიტაციო	დ. ტრანსპორტი
5. ეკოლოგიურად	ე. დაბინძურება
6. ეკოლოგიურად სუფთა	ვ. საფარი
7. მუნიციპალური	ზ. სუფთა ტრანსპორტი
8. საგანგებო	თ. გარემო
9. ხარისხის	ი. წესების დაცვა
10. უსაფრთხოების	კ. ბოძი
11. მწვანე	ლ. სამუშაოები
12. განათების	მ. კონტროლი

1. მინისტრს საერთაშორისო ხელშეკრულებაზე ხელი ჯერ არ მოუწერია.

2. _____ მნიშვნელოვანია ჩვენი შვილების ჯანმრთელობისთვის.

3. გზისპირასარემონტოსამუშაოებისდროსაუცილებელია _____.

4. მალე დიდ ქალაქებში _____ ივლის.

5. რეგიონებში _____ ძველი და გასარემონტებელია, მას მალე ახალი ავტობუსები შეცვლის.

6. _____ ერთ-ერთი მთავარი მიზეზი მანქანების გამონაბოლქვია.

7. ხელშეკრულებას მხოლოდ _____ აკლია.

8. ქალაქის მერია _____ ავრცელებს სასმელი წყლის მიწოდების შეწყვეტასთან დაკავშირებით.

9. მერიაში აცხადებენ, რომ ავარიული სპორტული კომპლექსის _____ უახლოეს მომავალში დაიწყება.

10. სასმელი წყლის _____ სისტემატურად ახორციელებს მერიის სპეციალური სამსახური.
11. ძლიერი ქარის გამო ქალაქის ცენტრალურ ქუჩაზე _____ წაიქცა და ავტომანქანა დააზიანა.
12. რუსთავი არ არის მწვანე ქალაქი, ამიტომ _____ არსებობა ამ ქალაქში აუცილებელია.

II. აირჩიეთ შემოთავაზებული ვერსიებიდან სწორი ვარიანტი და გახაზეთ:

ნიმუში: ქალაქის მუნიციპალური ტრანსპორტი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის სრულიად ხელოვნურია/ადაპტირებულია.

1. სოფელ უდაბნოში საირიგაციო ქსელის რეაბილიტაციის პრობლემა დათვალიერებულია/მოგვარებულია.
2. ვაზისუბანში სკვერს სარემონტო სამუშაოები ჩაუტარდა, დღეს ის გამოცხადებული/აღდგენილი და გადაუდებელია/განახლებულია.
3. ავარიის შედეგად დაზარალებულ პაციენტებს გადაუდებელი/გამორჩეული სამედიცინო დახმარება დასჭირდათ.
4. ახლად გარემონტებულ სპორტულ-გამაჯანსაღებელ ცენტრში განხორციელებული /ხელმისაწვდომი ფასები აქვთ და გამორჩეული/განთავსებული ინსტრუქტორები ჰყავთ.
5. თბილისი-ბათუმის ღამის მატარებლით მგზავრობა მოსახერხებელი/დაბინძურებული და გარემონტებულია/ეკონომიურია.
6. რუსთავსა და მის მიმდებარე/დაგებულ ტერიტორიაზე მერია ფოთლოვანი მცენარეების დარგვას გეგმავს.
7. ქალაქის ცენტრში იტალიიდან სპეციალურად მოსწორებული/ჩამოტანილი მცენარეები დაირგვება.
8. სწორი კვება და აქტიური ცხოვრების სტილი გამართულია/გამაჯანსაღებელია.
9. ბათუმის ბულვარში სავალ ბილიკებზე დაგებულია/გამართულია დეკორატიული ფილები.
10. პროექტის მიხედვით, ბაკურიანში მოეწყობა 500 ადამიანზე გათვლილი/გმისპირა დასასვენებელი და გასართობი პარკი.

III. გამოტოვებულ ადგილას ჩასვით შესაბამისი შესიტყვებები:

არა მართლ.... არამედ (2),	მიუხედავად იმისა, რომ.... ,	გარდა ამისა,
-ის რეკომენდაციით,	რადგან,	-ის მიხედვით,
-ის ნაცვლად/მაგივრად,	-ის განმავლობაში,	-ის შესახებ

ნიმუში: გორის მოსახლეობა კმაყოფილია, რადგან სასმელი წყლის მიწოდება სწრაფად აღადგინეს.

1. დარიალის ჰესზე ერთი (წელი) _____ მიმდინარეობდა.
2. საერთაშორისო (ორგანიზაცია) უახლოეს მომავალში ხელი მოეწერება (ასოცირება) ხელშეკრულებას _____.
3. განახლებულ სკვერში (ხელოვნური საფარი) _____ გაკეთდა პავილიონი და მოეწყო სათამაშო მოედანი.
4. (ექსპერტები) _____, აუცილებელია მთავრობამ იზრუნოს ქალაქის მწვანე საფარზე და მისი მიმდებარე ტერიტორიის განაშენიანებაზე.
5. მუნიციპალიტეტი გამწვანების პროექტს დააფინანსებს, _____ ქალაქში სხვა აღდგენითი ღონისძიებებიც ჩატარდება.
6. დიდთოვლობამ _____ გზები დააზიანა _____ განათების ბოძებიც წააქცია და გააფუჭა.
7. ქალაქის განაშენიანების პროექტი ხუთი (თვე) _____ მიმდინარეობდა.
8. ძლიერი (წვიმები) _____ ბათუმის ცენტრალური უბნები მთლიანად დაიტბორა.
9. _____, საირიგაციო სისტემა გამართულია, ზოგჯერ ის შეკეთებას მაინც საჭიროებს.
10. სამწუხაროდ, პაციენტის მდგომარეობა (გაუმჯობესება) _____ გაუარესდა.

IV. შეადგინეთ სიტყვები სა_____ელი აფიქსის გამოყენებით, შემდეგ ჩასვით წინადადებებში ლოგიკურად (მიაქციეთ ყურადღება, რომ წინადადებაში სიტყვები წყვილად გამოიყენოთ):

ნიმუში:

გაკეთებული გასაკეთებელი

1. მოხერხებული _____
2. გამოცხადებული _____
3. მოგვარებული _____
4. განახლებული _____
5. აშენებული _____
6. ჩატარებული _____
7. მოწესრიგებული _____

8. დამთავრებული _____

9. გარემონტებული _____

პაციენტი საოპერაციო ბლოკში შეიყვანეს, ოპერაცია ჯერ არ არის **გაკეთებული**, ის სასწრაფოდ არის **გასაკეთებელი**.

1. ღონისძიება დაგეგმილი და მომზადებულია, თუმცა ჯერ არ არის _____, მაგრამ დროულად არის _____.
2. ტენდერი არ არის _____, მერიაში ამბობენ, რომ ის სასწრაფოდ არის _____.
3. გასულ წელს წყალმომარაგების სისტემა არ იყო _____, თუმცა წელს ის უკვე _____.
4. სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები დაწყებულია, მაგრამ ჯერ არ არის _____, და როგორც სამინისტროში ამბობენ, დროულად არის _____.
5. პავილიონის მშენებლობა დაწყებულია, თუმცა კედლები ჯერ არ არის ბოლომდე _____, პროექტის მიხედვით ის წლის ბოლომდეა _____.
6. ახალი მუნიციპალური ტრანსპორტი კეთილმოწყობილი და მგზავრობისთვის _____, ძველი კი ძალიან _____ იყო.
7. გასულ წლებში ტყეში ხეების უკანონო ჭრის პრობლემა _____ იყო, დღესდღეობით კი ის უკვე _____.
8. აღმაშენებლის გამზირის განახლება გრძელდება, თუმცა ის ჯერ ბოლომდე არ არის _____, გეგმის მიხედვით გამზირი წლის ბოლომდეა _____.
9. ქუთაისის საავადმყოფოების რემონტი მიმდინარეობს, პალატები უკვე _____, მაგრამ საოპერაციო ბლოკები ჯერ ისევ _____.

V. შეავსეთ ცხრილი, ჩასვით ზმნები სწორი ფორმით ნიმუშის მიხედვით და შეადგინეთ წინადადებები (ყურადღება მიაქციეთ, რომ გამოყენებულია როგორც აქტიური, ასევე პასიური ზმნის ფორმები):

დღესდღეობით	მომავალში	შეიძლება	ჯერ არ/თურმე
ვრცელდება	გავრცელდება	გავრცელდეს	გავრცელდება
აფინანსებენ			
		შემოწმდეს	
			დატბორილა
	ჩაანაცვლებს		

იმართება			
	გააკონტროლებს		
			დაბინძურებულია
		განახორციელონ	
მიეწოდება			
	შეწყდება		

ნიმუში: მომავალში: ინფორმაცია ტენდერის შესახებ ინტერნეტით **გავრცელდება**.

1. დღესდღეობით: _____.
2. ჯერ არ: _____.
3. შეიძლება: _____.
4. მომავალში: _____.
5. თურმე: _____.
6. შეიძლება: _____.
7. დღესდღეობით: _____.
8. ჯერ არ: _____.
9. მომავალში: _____.
10. შეიძლება: _____.

VI. მოცემული ვარიანტებიდან შეარჩიეთ შესაბამისი ვერსია და ჩასვით წინადადებაში:

ნიმუში: 1 – ბ. განთავსდება

1. გავრცელებული ინფორმაციით, პოლიკლინიკა და საავადმყოფო თურმე ერთ შენობაში **განთავსდება**.
 ა. დასაქმდება ბ. **განთავსდება** გ. გავრცელდება
2. კლინიკაში განთავსებული სწრაფი კვების კაფე პაციენტებს, მნახველებს და კლინიკის პერსონალს _____.
 ა. მიეწოდება ბ. გამოცხადდება გ. მოემსახურება
3. სარწყავი არხები _____, რათა არ დაიტბოროს საცხოვრებელი ადგილები და მიმდებარე მიწები.
 ა. გაიწმინდება ბ. გამწვანდება გ. მომარაგდება

4. მიწისძვრით დაზარალებული მოსახლეობისთვის პრეზიდენტის ფონდიდან 5 000 000 ლარი _____.
- ა. გავრცელება ბ. გამოიყოფა გ. აშენდება
5. იანვრიდან სასმელი წყლის ხარისხზე კონტროლი სისტემატურად _____.
- ა. გაიმართება ბ. მომარაგდება გ. განხორციელდება
6. ოზურგეთის განახლებულ სამედიცინო კლინიკაში 70 ახალი თანამშრომელი _____.
- ა. დასაქმდება ბ. მიეწოდება გ. დასრულდება
7. ქალაქის ქუჩებს და პარკებს დასავლეთ საქართველოდან საგანგებოდ ჩამოტანილი ნერგები _____.
- ა. აღინიშნება ბ. შეემატება გ. ზიანდება
8. თბილისობის დღესასწაული ყოველ წელს ოქტომბრის თვეში _____.
- ა. შეწყდება ბ. იმართება გ. იყოფა
9. ტელევიზიით გამოაცხადეს, რომ სასმელი წყლის მიწოდება ვარკეთილის მოსახლეობას რამდენიმე საათით _____.
- ა. დაფინანსდება ბ. ჩანაცვლება გ. შეუწყდება
10. ფალიაშვილის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე ძველი ბორდიურები გამოიცვლება და ახლით _____.
- ა. ჩანაცვლება ბ. მოემსახურება გ. მოხერხდება

VII. გადაიყვანეთ წინადადებები მოქმედებითი გვარიდან ვნებითში (გამოიყენეთ „გან“, „მიერ“ და „ით“, სადაც საჭიროა):

ნიმუში:

შიდა ქართლის მოსახლეობას იმედი აქვს, რომ გამგეობის ფინანსური მხარდაჭერა ამ რეგიონში სამეურნეო ცხოვრებას **აღორძინებს**.

შიდა ქართლის მოსახლეობას იმედი აქვს, რომ გამგეობის ფინანსური მხარდაჭერით ამ რეგიონში სამეურნეო ცხოვრება **აღორძინდება**.

1. მერია მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე გამხმარ ხეებს ახალი ნერგებით ჩაანაცვლებს.
მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე გამხმარი ხეები _____.
2. თურმე ინვესტორებს ძველი საავადმყოფოს შენობა კაპიტალურად გაურემონტებიათ.
თურმე ძველი საავადმყოფოს შენობა _____.
3. უკმაყოფილო მოსახლეობამ აქციები შეიძლება განახლოს.
უკმაყოფილო მოსახლეობის აქციები _____.
4. გამგეობამ გამწვანების პროექტის დასრულების ბოლო ვადა გამოაცხადა.
გამწვანების პროექტის დასრულების ბოლო ვადა _____.
5. ინვესტორის დაკვეთით სამედიცინო კლინიკა ქალაქის ცენტრში განათავსეს.
სამედიცინო კლინიკა _____.
6. იაპონიიდან ჩამოტანილი ალუბლის ხეები მერიის სამსახურის თანამშრომლებს ჯერ არ დაურგავთ.
იაპონიიდან ჩამოტანილი ალუბლის ხეები _____.
7. სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის მთავრობამ მნიშვნელოვანი ნაბიჯები უნდა გადადგას.
სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის _____.
8. სკოლის მოსწავლეებმა არასწორი ინფორმაცია გაავრცელეს.
არასწორი ინფორმაცია _____.
9. მანქანების გამონაბოლქვი ჯანმრთელობას აზიანებს და გარემოს აბინძურებს.
ჯანმრთელობა _____.

VIII. შეასწორეთ შეცდომები, ყურადღება მიაქციეთ აქტიურ და პასიურ ზმნებს:

ნიმუში: ჩვენს კლინიკაში პაციენტებს გამოკვლევები უფასოდ **ჩაუტარებენ**. **ჩაუტარდებათ**

1. ბუნებრივი აირის მიწოდება სამტრედიის მოსახლეობას შეიძლება ერთი კვირით **შეუწყვიტოს**.
_____.
2. ახალი ჭაბურღილი სოფლის მოსახლეობას სასმელი წყლით **მომარაგდება**. _____.
3. ბაზარში შეტანილი პროდუქტები აუცილებლად უნდა **შეამოწმოს** ხარისხის სამსახურის მიერ.
_____.
4. წყალმომარაგების პროექტი უახლოეს მომავალში **განახორციელებს**. _____.
5. მძიმე პაციენტს გადაუდებელი სამედიცინო დახმარება **ჩაუტარებს**. _____.
6. თურმე აჭარაში გადაუღებელ წვიმას მიმდებარე სოფლები **დატბორილა**. _____.
7. ენგურჰესის კაშხალს ეროვნული მნიშვნელობის ძეგლის სტატუსი **მიანიჭა**. _____.
8. ქალაქ ფოთის შუაგულში დასასვენებელი სკვერის მოწყობა **გეგმავს**. _____.

9. პროექტის ფარგლებში მუშებმა დიდუბის სკვერში დეკორატიული ღობეები **შეიღება**, კიბეები **განახლდა**, ასევე ახალი ურნები და სკამები **დაიდგა**. _____.

10. დიდთოვლობის გამო, აჭარაში რამდენიმე ათეული ტონა მანდარინი **გააფუჭა**. _____.

IX. გადაიყვანეთ ზმნები აქტიურიდან პასიურში. ერთ-ერთი ფორმა გამოიყენეთ და ჩასვით წინადადებებში. ყურადღება მიაქციეთ შემდეგ სიტყვებს: შეიძლება, იქნებ, ალბათ, უნდა, თურმე, აქამდე არ, ჯერ არ, აქამდე არასდროს.

ნიმუში:

შეამოწმოს/შემოწმდეს

1. გამოუცხადებია _____
2. მიუწოდებიათ _____
3. დაუტბორავს _____
4. გააკონტროლონ _____
5. დაურგავთ _____
6. განაახლონ _____
7. დაამთავროს _____
8. გაუკეთებია _____
9. ჩაანაცვლებს _____

სუპერმარკეტებში ადმინისტრაციამ პროდუქტის ხარისხი აუცილებლად **უნდა შეამოწმოს**.

1. შვებულებში მინდა გასვლა მაგრამ პროექტი ჯერ არ დამთავრებულა, **იქნებ** მალე _____, რომ შევძლო დასასვენებლად წასვლა.
2. კორპუსის წინ მდებარე ბილიკები გაფუჭებულია და **აქამდე არ** _____.
3. თურმე ბოტანიკურ ბაღში ეგზოტიკური მცენარეები _____.
4. მშობლებმა **უნდა** _____ თუ რამდენ საათს ატარებენ მათი შვილები კომპიუტერთან დღის განმავლობაში.
5. ძლიერი წვიმის გამო თბილისის ზოოპარკი დაიტბორა, ის **აქამდე** ასე ძალიან **არასდროს** _____.
6. ექსპერტებს კვლევის შედეგები სამინისტროსთვის **ჯერ არ** _____.
7. სარეაბილიტაციო სამუშაოების ფარგლებში სტადიონის ხელოვნური მწვანე საფარი **ალბათ** ბუნებრივით _____.

8. დანგრეული ლაბორატორიის სარემონტო სამუშაოები მუშებმა შეიძლება 20 იანვრიდან

_____.

9. თურმე სკოლის ადმინისტრაციას სპორტული ინვენტარის შეძენაზე ტენდერი

_____.

X. წაიკითხეთ ტექსტი და იპოვეთ ხუთი სწორი წინადადება:

მუხიანში ინფრასტრუქტურული პროექტი ხორციელდება.

პროექტი, მართალია, მცირემასშტაბიანია, მაგრამ ის გარემოს გააღამაზებს, ახალგაზრდებს გაახარებს და ეკოლოგიურ მდგომარეობას გააუმჯობესებს. ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია. სამუშაოები უკვე რამდენიმე თვეა გრძელდება.

მუხიანის მეორე და მეოთხე მიკრორაიონის კორპუსების მიმდებარე ტერიტორიაზე მიმდინარეობს სპორტული მოედნების რეაბილიტაცია. პროექტის ფარგლებში ძველი მავთულბადეები შეიცვალა ახლით, შეკეთდა მოედნის ზედაპირი, დაიგო ხელოვნური მწვანე საფარი, შეიღება დეკორატიული ღობეები და დაირგო მცენარეები.

ასევე, რეაბილიტაცია ჩაუტარდა მეოთხე მიკრორაიონის მე-17 კორპუსის მიმდებარე ტერიტორიის ეზოს. ძველი ასფალტის საფარი შეიცვალა ახლით, გაკეთდა გაფუჭებული ბორდიურები, მოეწყო საერთო სარგებლობის კიბე და პანდუსი. სადარბაზოსთან მისასვლელ ბილიკებზე დაიგო ბეტონის დეკორატიული ფილები.

გლდანის რაიონის გამგებელი შეხვდა ადგილობრივ მოსახლეობას. ის ხალხს სამომავლო პროექტებზე ესაუბრა და მოისმინა მოსახლეობის მოთხოვნებიც. თურმე ყველაზე აქტუალური სასმელი წყლის პრობლემა ყოფილა, რომელიც ამ რაიონში ხშირად წყდება. გამგებელი მოსახლეობას ამ პრობლემის დროულად მოგვარებას დაჰპირდა.

ნიმუში:

- მუხიანში ინფრასტრუქტურული პროექტი ფართომასშტაბიანია და უკვე ერთი წელია გრძელდება.
- პროექტის ფარგლებში მიმდინარეობს სპორტული მოედნების რეაბილიტაცია. **სწორი**
- პროექტის ფარგლებში შეიღება დეკორატიული ღობეები და დაირგო მცენარეები.
- მოედნებზე დაგებულია ხელოვნური საფარი.
- მეოთხე მიკრორაიონის მე-15 კორპუსის მიმდებარე ტერიტორიას რეაბილიტაცია ჩაუტარდა.
- გამგებელი ხალხს სამომავლო პროექტებზე ესაუბრა.
- გლდანის მოსახლეობის ერთ-ერთი აქტუალური პრობლემა დაბინძურებული გარემო ყოფილა.
- გამგებელი მოსახლეობას გაზის პრობლემის მოგვარებას დაჰპირდა.
- გლდანის მოსახლეობამ ყველაზე აქტუალურად სასმელი წყლის პრობლემა დაასახელა.

